



საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

ანგარიშის ავტორები:

მადონა კოტია

ნინო ნახვლიშვილი

ანგარიშის თანაავტორი:

მანია ხაგრატიონი-გრუზინსკი

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გუნდი მადლობას უხდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განუვლი მხარდაჭერისთვის წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში.

განსაკუთრებული მადლობა ქ-ნ. ეკატერინა დგაბუაძეს (ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი), და ქ-ნ. მანია წულაძეს (ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე - კოორდინატორი).

ანგარიში მომზადებულია „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს სამინისტროს შეხედულებებს.

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა	2
შესავალი	2
მიზნები და ამოცანები	3
კვლევის მეთოდოლოგია	4
კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება.....	6
თავი I. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსსმ სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესი	7
❖ სსსმ პირების პროფესიული ტესტირება და პრაქტიკული მოსინჯვა.....	12
❖ სსსმ სტუდენტის საჭიროებების გამოვლენა.....	16
❖ სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.....	18
❖ საწარმოო პრაქტიკა სსსმ სტუდენტის პროფესიული განათლებისას	23
თავი II. სსსმ პროფესიული სტუდენტის სასწავლო დოკუმენტაცია და სასწავლებლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.....	26
თავი III. სსსმ სტუდენტის სწავლის შედეგი და კვალიფიკაციის დადასტურება.....	41
თავი IV. ინკლუზიური სასწავლო გარემო.....	51
❖ მატერიალურ-ტექნიკური რესურსი	52
❖ ფიზიკური გარემო	53
❖ სსსმ სტუდენტის განათლებაში ჩართული ადამიანური/პროფესიული რესურსი და სხვა მხარდამჭერი რესურსი	55
თავი V. ინკლუზიური პროფესიული განათლება	59
❖ სსსმ სტუდენტების აღქმა და დამოკიდებულებები.....	59
❖ პროფესიულ სასწავლებლებლის პერსონალი და ინკლუზიური განათლება.....	63
❖ ინკლუზიური კულტურა.....	64
თავი VI. რეკომენდაციები.....	66
დანართი.....	70
სამართლებრივი ასპექტი ინკლუზიურ განათლებაში	77

მოკლე მიმოხილვა

შესავალი

საგანმანათლებლო პროცესში ჩართული თითოეული პირის საჭიროებების გამოვლენა, დამატებით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო და სოციალური მხარდაჭერა არის იმ პროცესის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის და ახალგაზრდა პირის სრულყოფილ ჩართულობას მიმდინარე განათლების სისტემაში და აძლევს მას საშუალებას გააცნობიეროს თავისი შესაძლებლობები და პოტენციალი.

ინკლუზიური მიდგომის ხელშეწყობა არის დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც იძლევა თანაბარ შესაძლებლობებს ყველასათვის. მას შემდეგ რაც საქართველოში დაიწყო ინკლუზიური მიდგომების დანერგვა, პროგრესი ნამდვილად შესამჩნევია, თუმცა ინკლუზია არის მრავალ-მიზეზობრივი პრობლემითი პროცესი, რომელიც ითვალისწინებს რესურსების ჩართულობას და დროის სრულ ინსტიტუციონალიზაციასა და ინკლუზიური კულტურის, პოლიტიკისა და პრაქტიკის განმტკიცებას.

დღესდღეობით, საგანმანათლებლო ინკლუზიის კონცეფცია პრიორიტიზირებულია მსოფლიოს მასშტაბით და ამის შესახებ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილ დოკუმენტში შეგვიძლია გავეცნოთ. UNESCO-ს განმარტებით: „ინკლუზიური განათლება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს განსხვავებული საჭიროებების მქონე პირების მაქსიმალურ ჩართულობას, როგორც სასწავლო, ისე საზოგადოებრივ აქტივობებში, და ხელს უწყობს შეამციროს ნებისმიერი პირის საგანმანათლებლო პროცესებიდან გარიყვის რისკები. ინკლუზიური განათლების უმთავრესი მიზანია საგანმანათლებლო სისტემამ შექმნას ისეთი გარემო სადაც გაზრდილია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმდებლობა არსებული მრავალფეროვნებისადმი. ინკლუზიური განათლების მიდგომის ფარგლებში, სასწავლო გარემო უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და თითოეული პირს უნდა აძლევდეს წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.“

საზოგადოებაში ინკლუზიური განათლების მონიტორინგი უნდა იყოს უწყვეტი პროცესი რეალობის დასადგენად, რათა დროულად გადაილახოს ბარიერები, რაც რეგულარულ საგანმანათლებლო სისტემაში ყველა სტუდენტის წარმატებულ ჩართვას გამოიწვევს. მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება ქვეყნებს შორის, სადაც თავს იყრის საუკეთესო გამოცდილება და პროცესის გახორციელების ადეკვატური მოდელები. ანალოგიურად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ცნობიერების ამაღლება და სწავლება ადამიანის უფლებების შესახებ ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია.

მიზნები და ამოცანები

განხორციელებული კვლევა და მოცემული კვლევის ანგარიში მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (საეა) მიერ, სატენდერო ხელშეკრულების მომსახურების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ინკლუზიურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მონიტორინგის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის პროცესის შესწავლა, სულ 26 სასწავლებელში (ჩამონათვალი იხილეთ დანართი #1-ში).

კვლევის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსსმ სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესის შესწავლა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსსმ სტუდენტის სასწავლო პროცესში ინდივიდუალური სასწავლო მიდგომების და გეგმების შეფასება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსსმ სტუდენტების მიღწევების შეფასება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური სასწავლო გარემოს და რესურსების შეფასება;
- პროფესიული ინკლუზიური კულტურის შეფასება.

ანგარიშში ასახული ინფორმაცია ემყარება, სასწავლებლებში შერჩეულ სამიზნე ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. სამიზნე ჯგუფებია:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია;
- ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლები;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და ასისტენტები;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები და/ან მათი მეურვეები;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერაში ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მულტიდისციპლინური გუნდის წევრები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეწარმეო პრაქტიკის გამწევი პარტნიორი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის საწყის ეტაპზე საეას გუნდი გაეცნო ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით 2013 წლიდან გახორციელებულ ღონისძიებებს; საკანონმდებლო ბაზის/რეგულაციების და სიტუაციური ანალიზის მომზადების მიზნით და საკვლევი საკითხების გათვალისწინებით მოახდინა ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელოს შემუშავება და ფოკუს ჯგუფების ორგანიზება. ფოკუს-ჯგუფების შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა შეფასების ინდიკატორების და კვლევის ინსტრუმენტები. შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტების პილოტირება განხორციელდა 3 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ერთი რეგიონში, ორი თბილისში).

შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით სამიზნე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია - 14 ინტერვიუ
- ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლები - 14 ინტერვიუ
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და ასისტენტები - 14 ინტერვიუ
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერები - 14 ინტერვიუ
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები და/ან მათი მეურვეები - 10 ინტერვიუ
- ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერაში ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მულტიდისციპლინური გუნდის წევრები - 5 ინტერვიუ
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეწარმეო პრაქტიკის გამწევი პარტნიორი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა - 5 ინტერვიუ

ინდიკატორები

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დოკუმენტაცია/ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
 - i. პროფ სასწავლებელში არსებობს ი.ს.გ. ან მისი ექვივალენტი ეფექტური სისტემა;
 - ii. პროფ სასწავლებელში არსებობს სსსმ სტუდენტის პორტფოლიოს შედგენის და მართვის ეფექტური სისტემა.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო შედეგები (მიღებული კვალიფიკაცია).
 - i. პროფ სასწავლებელში ხდება სტუდენტის მიღწევებისა და კომპეტენციების ადეკვატური შეფასება;
 - ii. სსსმ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს დოკუმენტარულად დააფიქსირებული კომპეტენციების დამადასტურებელი დოკუმენტი პოტენციური დამსაქმებლისთვის მისაღები და გასაგები ფორმით.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი;
 - i. პროფ სასწავლებელში სწავლა- სწავლების პროცესი ითვალისწინებს სსსმ სტუდენტის სწავლების თავისებურებებს და იძლევა საშუალებას სტუდენტმა მიიღოს მაქსიმალური შედეგი.
4. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
 - i. პროფ სასწავლებელი ეფექტურად ახორციელებს სსსმ სტუდენტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საჭიროების განსაზღვრას და მის შემდგომ მართვას.
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის განათლებაში/მხარდაჭერაში ჩართული ადამიანური/პროფესიული რესურსი;
 - i. არსებობს ეფექტური ადამიანი/სპეციალისტი რომელიც ასრულებს სსსმ სტუდენტის მხარდაჭერის ფუნქციას სწავლების პროცესში.
 - ii. არსებული სერვისი აკმაყოფილებს სსსმ სტუდენტის საჭიროებებს.
6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მხარდამჭერი სერვისები.
 - i. სსსმ სტუდენტის მიეწოდება ყველა საჭირო მხარდამჭერი სერვისები და მათი დაგეგმვა და მართვა ხდება ეფექტურად;
 - ii. არსებული სერვისი აკმაყოფილებს სსსმ სტუდენტის საჭიროებებს;
7. ფიზიკური გარემო.
 - i. ფიზიკური გარემო ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის და გარემოს მართვა ხდება ეფექტურად
8. პროფ. ორიენტაცია
 - i. პროფესიული განათლებით დაინტერესებულ ყოველ სსსმ პირს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს პროფ. ორიენტაციის პროცესში და ეს პროცესი ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს.
9. ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები
 - i. არსებობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული პაკეტი და მათი მართვის სისტემა.
10. ინკლუზიური კულტურა
 - i. სსსმ სტუდენტი გადის სწავლების და მასთან დაკავშირებულ ყველას პროცესს სრულად ინკლუზიურ და მიმდებლურ გარემოში.

კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება

კვლევის პროცესში ყველა პროფესიული დაწესებულება მომართული იყო თანამშრომლობაზე და ინფორმაციის ეფექტიანად გაცვლაზე. აღსანიშნავია, რომ სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები ქმნიდნენ მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს კვლევისათვის. მათი მთავარი მამოტივირებელი იყო კვლევის მიზნების მიღწევა და რეკომენდაციების შემუშავება ეფექტიანი სისტემის დანერგვისათვის.

კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიულ სასწავლებლებში გარემო ყველა სტუდენტის მიმართ კეთილგანწყობილი და მეგობრულია. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სასწავლებლის გარემოსთან პირველი კონტაქტი არის მეგობრული და თბილი. ასევე, უმრავლესობა სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ გარემო კეთილგანწყობილია ყველა სტუდენტის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მიმართ. ასევე, თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა ითხოვონ დახმარება, ან დაეხმარონ ერთმანეთს, ანუ, ამ თვალსაზრისით ისინი არ არიან შეზღუდულნი.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სადაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, გამოკითხული რესპოდენტების აზრით ფიზიკური გარემოს ბარიერების შესამცირებლად სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება სწრაფი რეაგირება.

გამოკითხულ რესპოდენტების აზრით ყველა სსსმ სტუდენტი უზრუნველყოფილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რაც სჭირდებათ სასწავლო პროცესის დროს. იმ შემთხვევაში თუ პროცესში დადგება საჭიროება რესურსის შეძენის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია ეფექტურად რეაგირებს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებით რეგიონებში ხშირ შემთხვევაში დეფიციტს წარმოადგენს მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის ტრენერის, ჟესტური ენის თარჯიმანის, მოძიება და მოძიების შემთხვევაში შერჩეული სპეციალისტების დათანხმება ხანგრძლივი დროით იმუშაონ სასწავლებელში.


თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლების და მხარდაჭერაში ჩართული სპეციალისტები სსსმ სტუდენტის საჭიროებებზე ეფექტურად რეაგირებენ.

საწარმოო პრაქტიკის გახორციელება და დასაქმება უმრავლეს შემთხვევებში ხდება პროფესიული სასწავლებლის პარტნიორ კომპანიებში, პროფესიული პედაგოგების საკუთარ კერძო დაწესებულებებში ან თვითონ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ლაბორატორიებში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები ან მემორანდუმები საწარმოო ობიექტებთან. როგორც კვლევამ აჩვენა, თანამშრომლობის ეს ნაწილი უფრო მეტად პირად კონტაქტებზე და პარტნიორულ ურთიერთობებზე გადის.


თავი I. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსსმ სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესი

საქართველოში ინკლუზიური განათლება უკვე ათ წელზე მეტია განათლების რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღნიშნული მოდელით სწავლება 2006 წელს სავალდებულო გახდა ზოგადი განათლების საფეხურზე, ხოლო 2013 წლიდან - პროფესიული განათლების საფეხურზეც. ამ პერიოდში, ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის მიზნით არაერთი წარმატებული ინიციატივა განხორციელდა, რომლებიც საშუალებას აძლევს შშმ და სსსმ პირებს დაეუფლონ გარკვეულ პროფესიებს ან პროფესიულ კომპეტენციებს.

საქართველოში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, მათ შორის სსსმ პირი



საქართველოში არსებული პროფესიულ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა, მათ შორის სსსმ პირი




დიაგრამა #1, #2. საქართველოში არსებულ პროფესიულ დაწესებულებებში 2014-2017 წლებში ჩარიცხულ და კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, მათ შორის სსსმ პირები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მონაცემებით, მას შემდეგ რაც ინკლუზიური სისტემა დაინერგა პროფესიულ სასწავლებლებში, 105 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო


დაწესებულებებში დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. განსაკუთრებით დამაიმედებელი შედეგი 2017 წელს იყო, როდესაც 244 სსსმ სტუდენტიდან 63%-მა შეძლო პროფესიული კურსის დაძლევა და დიპლომის აღება, მაშინ როცა წინა წლებში ამას მხოლოდ საშუალოდ 3% ახერხებდა.

კვლევის ფარგლებში 105 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის შეირჩა 26 დაწესებულება. როდესაც სრული სურათიდან განცალკევებით 2014-2017 წლის სტატისტიკურ მონაცემებს ვნახულობთ, ვლინდება რომ ყველა კურსდამთავრებული სსსმ პირი მოხვდა საკვლევ მიზნობრივ ჯგუფში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არ მოიძებნება ზუსტი მონაცემები, პროფესიული განათლების პოტენციურ სტუდენტთაგან რამდენია პროფესიული განათლების მიღმა დერჩენილი.

საკვლევ პროფ. დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა რაოდენობა, მ.შ. სსსმ პირები



საკვლევ პროფ. დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა, მ.შ. სსსმ პირები



დიაგრამა #3, #4. კვლევის მიზნობრივ პროფესიულ დაწესებულებებში 2014-2017 წლებში ჩარიცხულ და კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, მათ შორის სსსმ პირი.

მას შემდეგ, რაც 2013 წლიდან მოხდა ინკლუზიური პროფესიული სისტემის დანერგვა, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით გამოვლინდა, რომ საქართველოში არსებულ

პროფესიულ დაწესებულებებს შორის ყველაზე დიდი აგმოდინება შეიძინა და ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეტი პოპულარობით სარგებლობს ხუთი დაწესებულება, რომლებმაც მოახდინეს ყველაზე დიდი რაოდენობით სსსმ პირების სწავლება. ეს სასწავლებლები მოცემულია ცხრილში.

2013-2018 წლებში ყველაზე მეტი სსსმ პირის მიღება	
მერმისი	49
სპექტრი	27
იბერია	24
ბლექსი	22
გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი	21

ცხრილი #1.

მონაცემები ასევე გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას, სსსმ პირებს შორის ყველაზე მეტჯერ დასახელებული და არჩეული პროფესიული მიმართულებები. ცხრილში მოცემულია 2014-2018 წლებში სსსმ პირების მიერ პირველი სამი ყველაზე მეტად არჩეული პროფესიების დასახელებები და პირთა რაოდენობები, რომლებმაც ეს დარგები აირჩიეს.

სსსმ პირებს შორის არჩეული პოპულარული დარგები წლების მიხედვით					
	2014	2015	2016	2017	2018
I	მზარეული (1)	კომპიუტინგი/ინფორმატიკა (9)	კომპიუტინგი/ინფორმატიკა (27)	კომპიუტინგი/ინფორმატიკა (30)	დიზაინი (9)
II	მეფილე-მომპირკეთე ბელი (1)	დიზაინი (6)	დიზაინი (15)	დიზაინი (24)	კომპიუტინგი/ინფორმატიკა (8)
II	-	სასურსათო ტექნოლოგია (5)	ტრანსპორტი (11)	სასურსათო ტექნოლოგია (14)	სასურსათო ტექნოლოგია (6)

ცხრილი #2.

რეგიონებში განსაკუთრებულად მაღალია თვითდასაქმებულთა წონა მთლიან დასაქმებაში. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია გაიზარდოს რეგიონებში წვდომა პროფესიულ განათლებაზე. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა პრიორიტეტია საქართველოს ყველა რეგიონისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება პროფესიული კოლეჯების და სტუდენტების რაოდენობა, ყველა რეგიონში მაინც არ არის ხელმისაწვდომი, არ არის მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიებს. გურიაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ყველაზე დაბალია საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელმისაწვდომობა. 2017 წლის მონაცემებით,

პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა ყველაზე მაღალი თბილისში, აჭარასა და იმერეთშია.¹

ცხრილის #3 აღწერს პროფესიული განათლებით დაინტერესებული სსსმ პირის მომზადების, ჩაბარების, სწავლის დაწყების, სწავლის დასრულებისა და დასაქმების პროცედურულ აღწერას, ამ პროცესში ჩართული მხარეების ჩამონათვალს და ფორმის, დოკუმენტისა ან და რაიმე სახის მტკიცებულებას, რომელიც იქმნება პროცესის გარკვეულ ეტაპზე. ეს პროცესი გამოვლინდა კვლევის დასრულების შემდგომ და წარმოადგენს ზოგად, გასაშუალებულ სურათს, თუ როგორ და ვისი ჩართულობით ახდენს სსსმ პირი პროფესიული განათლების მიღებას. აღსანიშნავია, რომ რიგ ჩამოთვლილ პროცესებში ჩართულ პირთა ჩამონათვალი და შედგენილი დოკუმენტაცია განსხვავებულია, რასაც ანგარიშის ქვეთავებში განვიხილავთ.

¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პროცესი	ჩართული პირ(ებ)ი	დოკუმენტაცია
ზოგადი განათლების საფეხურის დასრულება (IX ან XII კლასი)	მშობელი/მეურვე; პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაცია	ატესტატი
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია		მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება
პროფესიული ტესტირება	პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი; ინკლუზიური განათლების სპეციალისტი; პროფ. პედაგოგი; მშობელი/მეურვე	ალტერნატიული ტესტირება
პროფესიული მოსინჯვა		შეფასების ფორმები (მასწავლებლის; ინკლ. სპეციალისტის)
პროფესიული მიმართულების არჩევა და ჩარიცხვა		ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
სასწავლო პროცესი	პროფ. პედაგოგი; ინკლუზიური განათლების სპეციალისტი; ინკლ. განათ. სპეციალისტის ასისტენტი; პირადი ასისტენტი ან სხვა დამხმარე პერსონალი; კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი ან საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი	პორტფოლიო
საწარმოო პრაქტიკა		დოკლომი ან ცნობა ან სერთიფიკატი
კონპეტენციების აღიარება	პროფ. პედაგოგი; სასწავლებლის ადმინისტრაცია	
პროფესიული განათლების დასრულება		
სსსმ პირის დასაქმება	პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი; საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი; პროფ. პედაგოგი	

❖ სსსმ პირების პროფესიული ტესტირება და პრაქტიკული მოსინჯვა

პროფესიული განათლების მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (9 კლასი) დასრულების შემდეგ. პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

ამავე უფლებებით სარგებლობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებიც. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირად იწოდება პირი, რომელსაც სწავლის დროს აქვს სიმძნელები და საჭიროებს დამატებით/სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, როგორცაა მაგალითად, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, გარემოს ადაპტირება, მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა და სხვა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე შეიძლება იყოს პირი რომელიც ხასიათდება:

- ფიზიკური შეზღუდვა;
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- მეტყველების განვითარების დარღვევა;
- ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი თავისებურებები და თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი პირადი, ინდივიდუალური და ტიპური მახასიათებლებით არის უნიკალური.

სკოლის საბაზისო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლე იღებს გადაწყვეტილებას, ხშირად მეურვის ან სკოლის მასწავლებლების ჩართულობით - სურს თუ არა პროფესიული განათლების მიღება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ის გადის რეგისტრაციას და აბარებს პროფესიულ ტესტს.

ნებისმიერ მსურველს ეძლევა შესაძლებლობა სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლოს სასურველ პროფესიას მრავალი მიმართულებით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველწლიურად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე აცხადებს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციას. რეგისტრაციის გავლის შემდგომ, საწყის საფეხურზე სწავლის დასაწყებად, კანდიდატმა უნდა გაიაროს სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება.

ტესტირების მიზანია დადგინდეს სწავლის მსურველთა პროფესიული უნარების შესაბამისობა მათ მიერ შერჩეულ პროფესიასთან.

სსსმ პირებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ჩვეულებისამებრ ეძლევათ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სურვილისა და ინტერესის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუკი სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე მათ დაუდასტურდათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის ფაქტი, ისინი უფლებამოსილნი ხდებიან ისარგებლონ ალტერნატიული პროფესიული ტესტირების პროცედურით. პროფესიული ტესტირების ორგანიზება ხდება სამინისტროსა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომელიც ეფუძნება სტუდენტის მიერ დასახელებული პრიორიტეტული პროფესიის (მაქსიმუმ სამი) პრაქტიკულ მოსინჯავს. გადაწყვეტილების მიღება თუ, რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე უნდა ჩაირიცხოს პირი ხდება მათი ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე.

პროფესიული სასწავლებლების ხელმძღვანელების მოსაზრებით, პროფესიული აქტივობების მოსინჯვის ეტაპის ცალკე გამოყოფა მათთვისაც და სტუდენტისთვისაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა. პროცედურულად, სტუდენტები პროფესიული აქტივობების მოსინჯვის პროცესს გადიან ლაბორატორიებში / სახელოსნოებში ან უშუალოდ ესწრებიან სასწავლო პროცესს, აფასებენ მას, და შედეგად ადგენენ მეურვესთან ერთად უნდათ თუ არა ამა თუ იმ პროფესიაზე ჩაბარება და სწავლის გაგრძელება. ხელმძღვანელები ინტერვიუებში ხშირად იხსენებდნენ შემთხვევებს, როცა პირი დარეგისტრირებულა სხვადასხვა პროფესიაზე და სწორედ ამ პროცესის წყალობით აურჩევია თავისი შესაძლებლობების შესაფერისი პროფესია. აღსანიშნავია, რომ რიგ პროფესიულებში ამ პროცესს ასევე ემატება ეგრეთ წოდებული ღია კარის დღეები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ადგილზე გაეცნოს სასწავლებლის გარემოს და შემოთავაზებულ სერვისებს, გაესაუბროს სასწავლებლის პერსონალს და გააზრებულად გააკეთოს არჩევანი.

„იყო მაგალითად სტუდენტი ბიჭი, რომელსაც მინანქრის სპეციალობაზე უნდოდა ჩაბარება, მაგრამ ხელებს ვერ იმორჩილებდა. ჩვენ ვურჩიეთ და სხვა სპეციალობაზე ჩააბარა. საცდელი გაკვეთილი ჩავუტარეთ და ნახა რომ ტიხარს ვერ ადებდა, რადგან არ შეეძლო ტიხრის დაჭერა. წავიყვანეთ მერე სხვაგან, ტყავის კერვაზე ჩავიყვანეთ და უფრო იხმარა. ყველგან ხდება მოსინჯვები და ბავშვი რომ ხვდება რომ რომელიღაც კონკრეტული უფრო შეუძლია და უნდა, ესე ირჩევს.“
- პროფ. სასწავლებლის დირექტორი

პროფესიული მოსინჯვის ეტაპზე, საუკეთესო შემთხვევაში ჩართული პირები არიან: პროფესიულის მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტი და დამატებითი მხარდამჭერი ადამიანური რესურსი (მაგ. ქესტური ენის თარჯიმანი). კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩართულ პირთა

ჩამონათვალი ყოველთვის ესე არ გამოიყურება და მათ ცვლის კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან/და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი ან/და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

„მანამ სანამ ჩვენთან მოხვდებიან სტუდენტები, იქამდე თავდაპირველად გადიან რეგისტრაციას, მერე ხდება მულტი. გუნდის მიერ მათი შეფასება, შემდეგ ჩვენთან გაივლიან რეგისტრაციას, რის მერეც იქნება პროფესიული მოსინჯვა, პროფესიული მოსინჯვის მერე როცა უკვე აღმოაჩენენ რომ კომფორტულად გრძნობენ საკუთარ პროფესიაში თავს მას შემდეგ ხდება უკვე ჩარიცხვა. ჩემი ფუნქციაა უკვე ჩარიცხული სტუდენტის შეფასება და დაკვირვება სასწავლო პროცესზე თუ რამდენად ართმევს თავს, რამდენად სჭირდება დახმარება ან რა ტიპის დახმარება სჭირდება რომ უფრო მეტად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. დაკვირვების ფორმებს ვავსებთ, თუ რამეს ვერ ართმევს თავს და სჭირდება ასისტენტის დახმარება ამას ვაფასებთ“ - *ინკლუზიური განათლების სპეციალისტი*

„მულტი გუნდი, ჩვენ მასწავლებელიც, მასთან (სტუდენტთან) გვაქვს ხშირი კომუნიკაცია თუ დამატებით რა შეიძლება გაკეთდეს. მოსინჯვის ეტაპზე კომისია იქმნება, სადაც არის პედაგოგიც და ჩვენც. კომისია აკვირდება პროცესს, როგორ ართმევს სტუდენტი თავს დავალებას. ადმინისტრაციაც არის ხოლმე კომისიაში.“- *პროფესიული განათლების პედაგოგი*

რიგ კოლეჯებში გამოვლინდა, რომ სასწავლებელში სსსმ პირთა რაოდენობის ზრდის გამო მოხდა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის კადრის დაშვების და დამატების გადაწყვეტილების მიღება. მანამდე პროფესიული ტესტირების და გასაუბრების პროცესში სასწავლებლის ადმინისტრაცია იღებდა მონაწილეობას, თუმცა სტუდენტთა მრავალფეროვანი საჭიროების გამო, პროფესიული სასწავლებლის არსებულ კადრს გაუძნელდა თავი გაერთვა სსსმ პირთან კომუნიკაციის პროცესისთვის და სსსმ სტუდენტთა ქცევის თავისებურებისთვის.

არანაკლები როლი აკისრიათ კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებს, პროფესიულ სასწავლებლებში ასეთის არსებობის შემთხვევაში. როგორც წესი მათი ჩართულობით ხდება დაინტერესებული პირებისთვის განმარტების მიცემა იმ სავალდებულო უნარების შესახებ, რომელთა არსებობა საჭიროა კონკრეტული პროფესიული პროგრამის შესასწავლად.

„გვაქვს ისეთი პროფესიები, რომ თვითონ როგორც აპლიკანტმა ასევე ჩვენც უნდა ვიცოდეთ, მაგალითად ალერგია ხომ არ აქვს, რადგან საღებავებთან ექნება შეხება სტილისტის სპეცილობის შესწავლის დროს. ამ ყველაფრის შესახებ უნდა გააცნო აპლიკანტს, რათა შემდგომში არ მოხდეს ისე რომ მან სწავლა შეწყვიტოს, მარტო პროფესიის სახელწოდების თქმით არაფერი გამოვა, დეტალებში უნდა აუხსნა ყველაფერი აპლიკანტს როდესაც მოდის და ირჩევს პროფესიას. კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი იმისთვის არის რომ სწორად მიაწოდოს ინფორმაცია მას და ამისათვის თვითონაც უნდა იცოდეს იმ პროფესიების შესახებ რაც კოლეჯში არსებობს.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

„მშობლის როლი დიდია და არ მარტო სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში, არამედ ყველა პირთან მიმართებაში. ძირითადად ისინი ირჩევენ პროფესიას და ძალიან ბევრი შრომა გვჭირდება ამ კუთხით მშობელთან მიმართებაში რომ ავუხსნათ მათ რომ არ უნდა ჩაერიონ შვილის არჩევანის დროს.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

მნიშვნელოვანი ფაქტორია თუ რამდენად ინფორმირებულ და გაცნობიერებულ არჩევანს აკეთებენ სსსმ პირები, როდესაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ირჩევენ, რაზეც გამოკითხულთა ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ სსსმ პირთა გარკვეულ ნაწილს უკვე მყარად აქვს გადაწყვეტილება მიღებული რა პროფესიას დაეუფლოს და ეს შემთხვევები უფრო მეტად დიდი ასაკის პირებს შეეხებათ; მაშინ როცა, უმეტეს შემთხვევაში სასურველი პროფესიული პროგრამის შერჩევა სრულად ან ნაწილობრივ მშობლის/მეურვის გადაწყვეტილებით ხდება.

„სპეციალური საჭიროებების გამოვლენაზე მუშაობა ხდება იმ მომენტიდან, როცა უკვე სტუდენტი იქ მონიშნავს რომ არის საჭიროების მქონე, აქედან უკვე ჩვენც ვერთვებით პროცესში ანუ როგორც ინკლუზიის სპეციალისტები. მე იმდენი მაქვს ნამუშევარი სტუდენტებთან ასევე როგორც პროფ ორიენტაციის კუთხით რომ ხან ამ მიმართულებითაც თუ დგება საჭიროება ვმუშაობ ხოლმე. ამ პროცესში ჩართულები ვართ მე, პროფ ორიენტაციის მენეჯერი და მულტი გუნდი, კი არის ხოლმე შემთხვევებიც როცა მასწავლებელი, სპეციალობის მასწავლებელიც ერთვება, იმ კუთხით რომ იმან უკეთ იცის თავისი პროფესიის საჭიროებები და სირთულები და უფრო კარგად შეაფასებს ამ სსსმ პირს, შეძლებს თუ არა, რომ ამ კონკრეტულ პროფესიას დაეუფლოს. ეს ბავშვები რომ მოდიან მაგათ აქვთ უფლება აირჩიონ სამი პროფესია, მაგრამ ეგ უკვე არ არის საჭირო, რადგან უკვე იციან ის ერთი რომელზეც უნდათ სწავლა და დანარჩენი აღარ არის საჭირო.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

„ამის ერთი მაგალითი გვაქვს, მშობელი და შვილი ერთად მოვიდნენ პროფესიის შესარჩევად. გასაუბრების შემდგომ დედამ განაცხადა, რომ შვილის სურვილია ისწავლოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, უნდოდა რომ კომპიუტერები შეესწავლა, თუმცა მშობელს საერთოდ არ მოსწონდა ეს პროფესია, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწია“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

პროცედურულად, პროფესიული სასწავლებლის პედაგოგი იღებს მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლების მიერ შედგენილ დასკვნას და რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის შესახებ. პროფესიული ტესტირების პროცესი იგეგმება აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე. ალტერნატიული პროფესიული ტესტირების დროს ინდივიდუალურად ხდება შესასრულებელი აქტივობების შერჩევა, აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო დროს, ჩატარების ადგილის, ტესტირებისათვის საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების განსაზღვრა.

პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება თავის მხრივ ვალდებულია შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით გამართოს კონსულტაციები პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ.

❖ სსსმ სტუდენტის საჭიროებების გამოვლენა

პროფესიული სასწავლებელი სსსმ პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას ხელმძღვანელობს მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასების ანგარიშით სადაც აღწერილია აპლიკანტის პროფესიული ფაქტორები და შესაძლებლობები. ამ შეფასების საფუძველზე იგეგმება სტუდენტის პროფესიული ტესტირების (მოსინჯვის) პროცესი. მულტიდისციპლინური გუნდი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მიზნით, საჭიროების შესაბამისად, იყენებს შემდეგ მეთოდებს:

- ინტერვიუ;
- ქცევაზე დაკვირვება;
- ტესტის/კითხვარის შევსება;
- მასწავლებლის/მასწავლებლების ან/და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიერ შედგენილი დოკუმენტაციის გაცნობა;
- მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობა;
- ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შეფასებებისა და რეკომენდაციების გაცნობა.

„ყველა ის სტუდენტი, ვინც მოდის ჩვენთან, მას უკვე გააჩნია დასკვნა იმის შესახებ რომ ის არის სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი, ხოლო კოლეჯში მოხვედრის შემდეგ მასთან მუშაობს ჯგუფი ყოველდღიურ რეჟიმში“
- *პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრატორი*

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტის საჭიროებების იდენტიფიცირების და შეფასების პროცესში ჩართულები არიან მულტიდისციპლინარული გუნდის წევრი, პროფესიული განათლების პედაგოგი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტი, ადმინისტრაცია და მშობლები.

სასწავლებლებში სსსმ სტუდენტების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით, მშობლებთან გასაუბრებას ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი.

„მშობელთან ხდება ინტერვიუ, რა თქმა უნდა, მისგან გვინდა მაქსიმალური ინფორმაციის მიღება. პროფორიენტაციაზე რომ მოდიან ხოლმე მშობელი მოყვება და ხდება მასთან გასაუბრება“ - *ინკლუზიური განათლების სპეციალისტი*

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტის საჭიროებების შეფასებისთვის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები იყენებენ შემდეგ მეთოდებს და ინსტრუმენტებს:

- ლექციაზე დასწრება / დაკვირვება შესაბამისი ფორმებით;
- ტესტები, მაგ. ყურადღების და მეხსიერების;
- მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნა.

მნიშვნელოვანია, პროფესიული განათლების მასწავლებელი მუდმივად მზად იყოს, რომ არ გამოეპაროს სტუდენტის სწავლა-სწავლებისას გამოვლენილი სირთულეები და დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს მას დამატებითი მხარდაჭერა. საგანმანათლებლო საჭიროებებზე დროული და ადეკვატური რეაგირებისთვის მასწავლებელი უწყვეტ რეჟიმში უნდა აფასებდეს სტუდენტს - განსაზღვრავდეს, რამდენად უახლოვდება სტუდენტი პროფესიის კომპეტენციასა და მოდულის ფარგლებში აღწერილ სწავლის შედეგებს; რა უწყობს ხელს და რა აფერხებს მის პროგრესს და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი დაადგენს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის უნივერსალური დიზაინის მიდგომით შექმნილი მოდული არ არის საკმარისი პირობა მის დასაძლევად და სტუდენტს დამატებითი ხელშეწყობა სჭირდება, ის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტთან ერთად განიხილავს სტუდენტისთვის დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებასა და შესაძლებლობას (მაგალითად ტექსტის გახმოვანების პროგრამა, რომელსაც მხედველობის სირთულეების მქონე ადამიანი იყენებს). აღნიშნულმა მხარდაჭერამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სტუდენტის მიღწევის დონე და ის უფრო იოლად გაუმკლავდეს მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სსსმ სტუდენტის შეფასების დასკვნაში აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, განისაზღვრება სასწავლო გარემოსა და პროგრამაში სხვადასხვა სახის ადაპტაციის, ასევე, დამხმარე რესურსის შექმნის/მოძიების საჭიროება.

საჭიროებების გამოვლენის შედეგად პროფესიული სასწავლებელი იწყებს შესაბამისი რესურსის მოძიებას, როგორც მატერიალურის ასევე ადამიანურის. განათლების სისტემაში დაინერგა სსსმ პირთა დამატებითი მხარდამჭერი სერვისები, როგორებიცაა: ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურება სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისათვის, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერების მომსახურება მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებისათვის, სპეციალური ასისტენტების (ლაბორანტების) მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისათვის, სატრანსპორტო საშუალების მქონე ასისტენტების მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისათვის. რესურსის მოძიებისათვის ხდება ვაკანსიის გამოცხადება. კვლევამ აჩვენა რომ განსაკუთრებით რეგიონებში ხშირ შემთხვევაში დეფიციტს წარმოადგენს მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის ტრენერის, ჟესტური ენის თარჯიმნის, ბრაილის შრიფტის მცოდნე სპეციალისტის და სხვათა მოძიება და მოძიების შემთხვევაში დათანხმება იმუშაონ გარკვეული პერიოდით სასწავლებელში. შესაბამისად გამოვლინდა, რომ მიზანშეწონილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა ისარგებლონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სპეციფიკური საგანმანათლებლო კურსებით და შესაბამისი შეზღუდვის მქონე აპლიკანტის დაწესებულებაში რეგისტრაციისა და მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ აპლიკანტისათვის სსსმ პირის სტატუსის მინიჭების შემდგომ, უპირობოდ მოახდინოს შესაბამისი კადრის მოძიება.

➤ სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

სწავლის დაწყებამდე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში იკრიბება მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტები, სსსმ პირის ყველა მომავალი მასწავლებელი, დამატებითი მხარდამჭერი ადამიანური რესურსი (მაგ. ჟესტური ენის თარჯიმანი, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი) და ადმინისტრაციის წარმომადგენელი. შეხვედრის პროცესში განიხილება სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასება და დასკვნა, რომელიც სსსმ პირის აკადემიურ, შემეცნებით და სხვადასხვა ფუნქციური სფეროს ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს აღწერს და ასევე, სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს მოიცავს. შეხვედრის თითოეული მონაწილე გამოთქვამს საკუთარ ხედვას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ შესაძლო გამოწვევებსა და მათთან ეფექტური გამკლავების სტრატეგიებზე. კოლეჯის ინკლუზიური განათლების შიდა გუნდი, მასწავლებლებთან შეხვედრის შედეგების გათვალისწინებით, ამზადებს და ყველა პედაგოგს აწოდებს რეკომენდაციას, თუ როგორ უნდა წარიმართოს საგანმანათლებლო პროცესი, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ნაყოფიერი იყოს სსსმ სტუდენტისთვის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში მიზანშეწონილია მოხდეს პროფესიული განათლების წარმატებული გამოცდილების გაზიარება და პროფესიული განათლების მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა. იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულ დაწესებულებებს არ აქვთ მრავალფეროვანი საჭიროების და მდგომარეობების მქონე სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება, ერთ-ერთ რეკომენდაციად გამოვლინდა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს ინკლუზიური განათლების არსის გაცნობა და იმ მდგომარეობის შესახებ ცნობიერების გაზრდა, რომელიც სსსმ სტუდენტს აღნიშნება. ეს მისცემს შესაძლებლობას განსაკუთრებით პროფესიულის პედაგოგებს შინაარსობრივად გააზრებული ქონდეთ რა შემთხვევასთან აქვთ საქმე და როგორი სასწავლო მიდგომა იქნება მიზანშეწონილი.

„თუკი გაიზრდება კონტიგენტი, კარგი იქნება წარმოდგენა გვექონდეს იმ მეთოდებზე და მიდგომებზე, რა მეთოდებიც და მიდგომებიც არსებობს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში, თუნდაც ეს მაგალითების კუთხით იყოს, რაც ხელს შეგვიწყობდა მისთვის უკეთესი კონსულტაცია გაგვეწია.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

სსსმ პირის საჭიროებების გამოვლენის შემდეგ, მულტიდისციპლინარული გუნდი სასწავლებელს ამცნობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შესახებ. სსსმ პირის დასკვნაში განსაზღვრულია პროფესიული ტესტირებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები, რომლებიც მიუთითებენ სსსმ პირისთვის რეკომენდირებულ სასწავლო სტრატეგიებზე და ფიზიკურ გარემოზე. სწორედ ეს შეფასება წარმოადგენს სასწავლებლისთვის სასტარტო პოზიციას ისგ-ის შესამუშავებლად.

მოსწავლის უნარების და სასწავლო გარემოს დეტალური შეფასების შემდეგ იწყება მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად. თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არცერთი სამართლებრივი აქტით არ განესაზღვრებათ ვალდებულებად შეადგინონ ისგ-ის დოკუმენტი, რადგან ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმები ვრცელდება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ანუ სკოლაზე. ამ მოცემულობის მიუხედავად, უმრავლეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რადგან მათივე თქმით ის მნიშვნელოვანი დამხმარე მექანიზმია სსსმ პირების სასწავლო პროცესის წარმართვაში.

სსსმ სტუდენტზე დაკვირვების საფუძველზე ხდება პროგრამის და მასში მოცემული მიზნების ადაპტირება; საჭიროების შემთხვევაში კი აკომოდაციების გამოყენება. მაგ. იმ შემთხვევაში თუ, სსსმ სტუდენტისთვის თემატიკა რთულია, ხდება განვლილი მასალის განმეორება, იმისათვის, რომ არ იყოს სსსმ სტუდენტი უმოქმედოდ და ამოვარდნილი სასწავლო პროცესიდან.

თუმცა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ვალდებულება და ეს მათი კეთილი ნების საფუძველზე ხდება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას სტუდენტის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ასევე მის აკადემიურ, შემეცნებით, სოციალურ, ქცევით, ემოციურ დამოტორულ შესაძლებლობებს.

ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, სტუდენტი ყველა მოდულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სწავლობდეს, ზოგ შემთხვევაში კი, სავსებით დასაშვებია, რომ სტუდენტს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მოდულის ფარგლებში დასჭირდეს სასწავლო გეგმის დაზუსტება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა დოკუმენტებს, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა. შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შესახებ აღირიცხება იმავე უწყისებში, ბაზებსა თუ ჟურნალში, რომლებშიც ნებისმიერი სხვა სტუდენტისა. თუმცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხსნის ამ დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს, უკავშირებს რა სასწავლო პროცესის ფორმისა თუ შინაარსის ცვლილებას სტუდენტის საჭიროებას. შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მთავარი ღერძი პროფესიის სტანდარტია, მასში დაწვრილებით არის განსაზღვრული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების საპასუხოდ ჩასატარებელი სამუშაოები პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების დაუფლებისთვის.²

სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სსსმ სტუდენტის შესაძლებლობების შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების დეტალური შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს.

სასწავლო გეგმის ადაპტაცია თითოეული სტუდენტისთვის განსხვავებული ტიპისა და ხარისხისაა. ადაპტაციის ძირითადი მიმართულებებია: სასწავლო გეგმის აკომოდაცია; სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია; სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატება. იმის გათვალისწინებით, რომ მულტიდისციპლინარული გუნდის წევრები გარკვეულ პერიოდში ერთხელ ახორცილებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს, მათი შეფასებით სასწავლო გეგმის ადაპტაციაში ჩართული პირები ვერ ანსხვავებენ ჩამოთვლილ მიმართულებებს და უჭირთ მათი გამიჯვნა ან ხშირ შემთხვევაში მათი შინაარსის გათავისება.

² წყარო: <http://inclusion.ge/res/docs/2017031014280188168.pdf>

“კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად სჭირდებათ ინდივიდუალური გეგმის შედგენისთვის და ასევე უნდა ისწავლო როგორ უნდა მოახდინონ დაკვირვება ქცევის მართვაზე. ჩვენ გვიჭირს და ხშირად დაგვიანებულიც კია ჩვენი ჩართულობა, რადგან როცა მივდივართ პროფესიულში ინდ. გეგმა უკვე შექმნილია რაშიც ბევრი ხარვეზია. როდესაც ვესწრები საგაკვეთილო პროცესს, პედაგოგი ცდილობს ყველაფერი კარგი მხრიდან დამანახოს, თუმცა იმედს ვიტოვებ რომ ერთ გაკვეთილში შეცვლილი მიდგომა შემდგომ გაკვეთილებზეც მიყვება და მერე რაღაც შედეგზე მაინც გადიან.” - მულტი. გუნდის წევრი

კითხვაზე, თუ ვინ მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაზე, პროფესიულ სასწავლებლებში საკმაოდ მრავალფეროვანი პასუხები დაფიქსირდა. პასუხები შემდეგნაირად გამოიყურება:

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (მხოლოდ);
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და მოდულებისა და საგნების მასწავლებლები;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და ხარისხის მენეჯერი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი და ხარისხის მენეჯერი;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი;
- მულტიდისციპლინარული გუნდის წარმომადგენლების დახმარებით პროფესიული განათლების მასწავლებელი.

აღსანიშნავია, ასევე, რომ ერთსა და იმავე პროფესიულ სასწავლებელში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები ამ პროცესს აღწერდნენ განსხვავებულად და მათ მიერ პროცესში ჩართულ პირთა ჩამონათვალიც განსხვავდებოდა, რაც მიუთითებს ინფორმირებულობის დაბალ დონეზე ან/და კომუნიკაციის დაბალ ხარისხზე.

გამოკითხულ პროფ. სასწავლებლებში კარგი მაგალითებიც დაფიქსირდა, და რეკომენდირებული მიდგომა - ისგ-ის შედგენაში ჩართული იყოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი - იყო დაცული.

ასევე გამოვლინდა, რომ საშუალოდ თვეში ერთხელ მულტიდისციპლინარული გუნდის წარმომადგენელი ახდენს კომუნიკაციას სასწავლებელთან და საჭიროების შემთხვევაში უწევს კონსულტაციებს პასუხისმგებელ პირს ისგ-ის შედგენის, სასწავლო პროცესის ადაპტირების, სტუდენტის ჩართულობის გაზრდისა და სწავლის შედეგების მიღწევის საკითხებზე.

„სტუდენტიც ჩართულია პროცესში და მულტი გუნდიც, რადგან მათი ჩარევის გარეშე ისგ ვერ შემუშავდება. ძალიან გვეხმარებიან სამინისტროს მულტი გუნდი. არის შემთხვევები, როცა მათგან მოდის ისგ-ის შექმნის ინიციატივა. პედაგოგი გადასცემს ინფორმაციას მულტი გუნდს, ის წამოჭრის საკითხს ჩემთან და შემდეგ ხარისხის მენეჯერთან და სასწავლოსთან ერთად დავამტკიცებთ. არის შემთხვევები, როცა შეფასების შემდეგ დგინდება, რომ არ არის საჭირო ისგ და შეფასების მიდგომებია შესაცვლელი, სხვანაირად უნდა შეფასდეს და არა ისე, როგორც მიმდინარე სტუდენტები. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს პროცესის წარმართვას.“ - პროფ. სასწავლებლის დირექტორი

ისგ-ის შედგენის პროცესი ერთ-ერთ დიდ გამოწვევად რჩება პრაქტიკული სამუშაოების ადაპტაცია. სასწავლებლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებს უჭირთ პრაქტიკული კომპონენტის დაშლა, გამარტივება და სსსმ სტუდენტებისთვის შესაბამისი ფორმით მიწოდება.

„სირთულეს წარმოადგენს ის რომ ყველას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, იმიტომ რომ არ შეიძლება ერთი გეგმა ყველაზე იყოს მორგებული ან რამოდენიმეზე იყოს მორგებული.“ - პროფ. სასწავლებლის დირექტორი

„პრობლემები როგორ გითხრათ, ზოგ სტუდენტთან მუშაობა უფრო რთულია, ზოგთან უფრო მარტივი, დამოკიდებულია მის კონკრეტულ საჭიროებაზე, ასეა გეგმის შედგენაც.“ - პროფ. სასწავლებლის დირექტორი

ინკლუზიური განათლების სპეციალისტების აზრით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სირთულეებთან არის დაკავშირებული. იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლებლები ახალი სასწავლო წლიდან გადადიან მოდულარულ სწავლებაზე, პროფესიული განათლების პედაგოგებმა ყველა მოდულისთვის უნდა შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც მათი შეფასებიდ გაცილებით მეტ დროის მოითხოვს და მათ სამუშაო ეფექტიანობას შეამცირებს. მიმართებაში.

„ისგ - თი არ ვხელმძღვანელობთ, ეს ჯერ არ არის ჩვენთან დანერგილი, რა ვიცი სიმართლე გითხრათ ჩემი გადმოსახედიდან, შეიძლება სხვების სხვანაირად ფიქრობენ, ისგ - ს წარმოება არის ძალიან ბევრ სირთულეებთან დაკავშირებული. ახლა წარმოიდგინეთ, ჩვენ ჯერ მოდულარულ სწავლებაზე არ გადავსულვართ, ახალი სასწავლო წლიდან უკვე გადავალთ და წარმოიდგინეთ ერთი მოდული ვთქვათ კულინარია კიდევ რამდენ მოდულებს მოიცავს და რამდენი სსსმ სტუდენტი სწავლობს და ამ ყველა მოდულისთვის და ყველა სტუდენტისთვის ცალცალკე უნდა დაწეროს პედაგოგმა ეს ისგ. ძალიან იქნება დროში გაწელილი და არ ვიცი მე, როგორ უნდა მოხდეს ამის მოგვარება, ჩემი აზრით განსაკუთრებულ შედეგსაც ვერ გამოიღებს, რადგან საჭიროების მქონე სტუდენტზე ისედაც ახორციელებს პედაგოგი სასწავლო პროცესის მორგებას.“ - პროფესიული განათლების პედაგოგი

„ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მასში წარმოდგენილი შედეგები გვამღევეს ამის შეფასების საშუალებას, თუ ვნახეთ რომ შედეგები იყო გაწერილი უფრო მაღალი ვიდრე მისი მიღწევა შეძლო სტუდენტმა, ხდება გეგმის კიდევ ერთხელ ადაპტაცია. ისგ-ში გაწერილი შედეგები იძლევა ამ პროგრესის შეფასების საშუალებას.“ - პროფესიულის პედაგოგი

➤ საწარმოო პრაქტიკა სსსმ სტუდენტის პროფესიული განათლებისას

პროფესიულ კოლეჯში სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საწარმოო პრაქტიკაა. რიგ პროფესიულ სასწავლებელში ცალკე შტატად გამოყოფილია საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც მთლიანად ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობაზე, ხოლო სხვა შემთხვევებში ეს საქმიანობა სრულიად შეთავსებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელს და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს. ასევე იყო რამოდენიმე შემთხვევა, როცა ამ პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელს კარიერის დაგეგმვის სპეციალისტიც ეხმარება. მიზანშეწონილია, პროფესიული ტესტირების პროცესში აღნიშნული პირების მონაწილეობა, რადგან ისინი სწორედ ამ მომენტიდან უნდა იწყებდნენ ფიქრს აპლიკანტის საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების გეგმაზე³. თუმცა, კვლევის პროცესში, როდესაც ისინი საუბრობდნენ თავიანთ სამუშაო აღწერილობასა და მოვალეობებზე, არსად გამოვლენილა ამგვარი ჩართულობა. საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვაზე ზრუნვა როგორც წესი იწყება ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შემდგომ.

საწარმოო პრაქტიკის გახორციელება უმრავლეს შემთხვევებში ხდება პროფესიული სასწავლებლის პარტნიორ კომპანიებში, პროფესიული პედაგოგების საკუთარ კერძო დაწესებულებებში ან თვითონ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

³ წყარო: <http://inclusion.ge/res/docs/2017031014280188168.pdf>

ლაბორატორიებში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები ან მემორანდუმები საწარმოო ობიექტებთან. როგორც კვლევამ აჩვენა, თანამშრომლობის ეს ნაწილი უფრო მეტად პირად კონტაქტებზე და პარტნიორულ ურთიერთობებზე გადის.

„ყოფილა შემთხვევა რომ ესეთ სტუდენტს ჰქონდა გადაადგილების პრობლემა და აქ გაიარა საწარმოო პრაქტიკა, იმიტომ რომ მისთვის უფრო მისაღები იყო აქ გავლა ოღონდ სხვა სტუდენტებთან ერთად“-
ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

საწარმოო პრაქტიკის პროცესის დაწყების წინ, ინკლუზიური განათლების გუნდის რომელიმე წარმომადგენელი წინასწარ ახორციელებს ვიზიტს პრაქტიკის ობიექტზე. ვიზიტის დროს ფასდება ობიექტის ფიზიკური გარემო, დგინდება რა გამოწვევები შეიძლება ჰქონდეს სსსმ პირს პრაქტიკული მუშაობის პროცესში. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, ხდება ობიექტის თანამშრომლების კონსულტირება სსსმ პირისთვის რელევანტურ მიდგომებსა და სამუშაო სტრატეგიებზე.

„ჩვენ გვქონდა შემთხვევა რომ ადაპტირებული არ იყო მისთვის გარემო, რაც ასევე ჩვენი პასუხისმგებლობაა და ჩვენ მას ადგილზე შევუქმენით ის პირობები რომ მას შეძლებოდა გავლა საწარმოო პრაქტიკის და რათქმუნდა პატარა ადაპტაციასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის“ -
ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაცია ახდენს საწარმოო პრაქტიკის ხელშეკრულების გაფორმებას საწარმოო ობიექტთან და პერიოდულად ახდენს მონიტორინგს სტუდენტის დასწრებისა და მიღწევების შესახებ.

„მივდივარ და ვამოწმებ დადის თუ არა, რაიმე პრობლემებს ხომ არ აქვს ადგილი, შეიძლება ხელმძღვანელს რაღაც პრობლემა შეექმნას და მას ვუხსნი თუ როგორ უნდა მიუდგეს მას და ვაცნობ თუ როგორი პიროვნებაა და რისი გაკეთება შეუძლია მას, ასევე იმ ოსტატებს რომლებსაც ჩააბარებენ.“
- პროფესიული განათლების მასწავლებელი

ზოგ პროფესიულ სასწავლებელში ივსება საწარმოო პრაქტიკის დღიური, სადაც გაწერილია პრაქტიკის მიზანი, სამუშაოს შესრულების თარიღი, სამუშაო ადგილი, შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი, საწარმოო პრაქტიკის შედეგები და პრაქტიკაზე სტუდენტის მუშაობის შეფასება. ასევე, ზოგ სასწავლებელში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მუშავდება სამუშაოს შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, სადაც გამიჯნულია სსსმ პირს

რომელი სამუშაოების შესრულება შეუძლია დამოუკიდებლად და რომლებს ასრულებს დახმარებით.

„სხვადასხვა ოქმებს და შეფასების დოკუმენტებს მე ჩემით ვიმუშავებ, ამ კუთხით სამინისტროს არანაირი დოკუმენტაცია არ მოუცია ჩვენთვის.“- *პროფესიული განათლების მასწავლებელი*

„სილაბუსი გვაქვს საწარმოო პრაქტიკის, სილაბუსში გაწერილია თუ რა უნდა აკეთოს, მაგრამ ის მწარმოებელი ჩვენი სილაბუსის მიხედვით ხომ ვერ იმუშავებს, მას აქვს შეკვეთები და შეკვეთების მიხედვით აკეთებს და ეს ხდება ინდივიდუალურად.“- *პროფესიული განათლების მასწავლებელი*

„ჩვენ ვავსებთ მონაცემებს სტუდენტებზე, შემდეგ ვავსებთ თუ როგორ დაადასტურა.“
- *ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტი*

სსსმ სტუდენტს მისი საჭიროების გათვალისწინებით, პრაქტიკის ობიექტზე ადმინისტრაციის მიერ გამოეყოფა ასისტენტი, რომელიც პრაქტიკის მსველობისას თან ახლავს მას.

„მაგალითად, ერთ სტუდენტს ყავს ასისტენტი და საწარმოო პრაქტიკაზე რომ გავუშვებთ ის ასისტენტიც გაყვება მას. ესე იგი ვნახულობთ საწარმოო პრაქტიკაზე როგორ არის ჩართული, რას აკეთებს და ავლენს თუ არა მის უნარებს.“- *ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი*

საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში უკვე ხდება სსსმ სტუდენტის უნარ-ჩვევის კონკრეტულ საქმიანობაზე მორგება და პროფესიული პედაგოგების საერთო შეფასებით, თეორიულ სწავლებასთან შედარებით სტუდენტისთვის ეს უფრო ადვილია, რადგან ის პოულობს თავის თავს მის მიერ არჩეულ პროფესიულ სფეროში. შესაძლებელია რომ მთელი საწარმოო პროცესი სტუდენტმა ვერ აითვისოს, მაგრამ კონკრეტული ტექნიკური საქმიანობისთვის იყოს საუკეთესო კადრი. პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტი მეტად ავითარებს თავის შესაძლებლობებს და პროფესიული განათლების მასწავლებელი და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტიც მეტად ხვდებიან რომელი პროფესიული საქმიანობისთვის და დავალებისთვის არის ესა თუ ის სტუდენტი მზად.

„აი თუნდაც ავიღოთ მზარეული, შესაძლებელია დაჭრა შეუძლია, სერვირება, ან კიდევ რაიმე აპარატთან მუშაობა შეუძლია ძალიან კარგად; უკვე კონკრეტულ საქმიანობაზე ერგება სტუდენტი, აი მაგალითად ძეხვის წარმოებისას, ისე კარგად არის შესაძლებელი რომ ჩატუმბოს ძეხვის მასა რომ გაგიკვირდებათ, ასეთი ბავშვები ძალიან კეთილსინდისიერად უდგებიან თავისზე დაკისრებულ მოვალეობას, ამის დასკვნა შემიძლია, რომ რასაც ავალეხ იმას ძალიან დიდი ენთუზიაზმით აკეთებენ, ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ესეთი დასკვნის გაკეთება შემიძლია და ეს პრაქტიკის საქმიანობის დროს ჩანს კიდევაც.“ - პროფესიული განათლების მასწავლებელი

თავი II. სსსმ პროფესიული სტუდენტის სასწავლო დოკუმენტაცია და სასწავლებლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები

სწავლა-სწავლების პროცესის თავში აღვნიშნეთ, რომ პროფესიულ სასწავლებელს მარეგულირებელი დოკუმენტებით არ აქვს განსაზღვრული ვალდებულება შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თუმცა, პროფესიული განათლების შესახებ კანონის, 25 მუხლის მიხედვით, “კოლეჯის მართვის პრინციპები და კოლეჯის ვალდებულებები”, კოლეჯი ვალდებულია „ექმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობები; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია“.

კვლევის პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი იყო, პროფესიულ სასწავლებელში სსსმ სტუდენტზე ხელმისაწვდომი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა და შესწავლა მათი არსებობის შემთხვევაში. შედეგად, 26 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მხოლოდ 11 სასწავლებლიდან მოხდა სულ ცოტა ერთი სსსმ სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტის გამოთხოვა; დარჩენილი 15 სასწავლებლიდან ერთმა განაცხადა უარი ინფორმაციის გაზიარებაზე; ერთმა განაცხადა რომ ასეთი სახის დოკუმენტების შედგენა მათი ვალდებულება არაა და ამიტომ არ მოეპოვებათ; ხოლო დანარჩენმა სასწავლებლებმა განაცხადეს, რომ არ ახდენენ ასეთი სახის დოკუმენტაციის წარმოებას, რადგან ამის საჭიროება არ არსებობს. ამ თავში მიმოვიხილავთ ყველა მსგავსი დოკუმენტის შინაარსს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

გამოკითხვის შედეგად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების გაზიარება შეძლო სასწავლებლების 62%-მა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენ სასწავლებლებში არ ფლობენ ცოდნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოების შესახებ ან მხოლოდ იმიტომ არ

ქმნიან აღნიშნულ დოკუმენტს, რომ ეს მათ არ ევალუბათ. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ პროფესიულ სასწავლებლებში რიგ სსსმ სტუდენტებს არ ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლა, რადგან ისინი მიყვებიან სტანდარტულ სასწავლო გეგმას; იყო შემთხვევები, როდესაც მონიტორინგის პერიოდში სასწავლებელს არ ყავდა სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტი.

„მისი საჭიროება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შეიძლება შეიცვალოს. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მუშაობს მასთან ყოველდღიურად და ის აკვირდება მას, ის ამზადებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამ სტუდენტებისთვის და აკვირდება რამდენად დამლევენ გაწერილ შედეგებს ეს სტუდენტები იმ დროში.“ - პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაცია

„ვაკეთებთ პროგრამის ადაპტაციას მის საჭიროებებზე. განსხვავებული პროგრამებია, განსხვავებული საჭიროებებია, ამიტომ არ არსებობს პროგრამა, რომელსაც ვაკეთებ და ორ სტუდენტს ერთნაირად მოერგოს. შესაბამისად, როდესაც ვაკეთებთ დაკვირვებას საჭიროებებზე, მის საჭიროებებზე პროგრამის მორგება არის ზუსტად ის შედეგი რასაც გვამლევს დაკვირვება და მერე რეაგირება ამ შედეგებზე.“ - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

პროფესიული განათლების მასწავლებელმა სსსმ სტუდენტს უნდა მოარგოს მიმდინარე სასწავლო აქტივობები, სტუდენტთა შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაციას ქმნის როგორც სპონტანური ასევე კარგად დაგეგმილი მიდგომა. სსსმ სტუდენტისთვის სილაბუსის მოდიფიცირება გულისხმობს ინდივიდუალურ მიდგომას და სწავლების მეთოდის ან/და სასწავლო მასალის ადაპტირებას.

საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციის პრინციპები გულისხმობს სილაბუსის შეცვლას, დაზუსტებას, ადაპტირებას კონკრეტული სტუდენტის წინა ცოდნისა და შესაძლებლობების მიხედვით. ინდივიდუალური საჭიროებების დაგეგმვა გრძელვადიან პერსპექტივაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა განათლების სისტემაში, თუმცა ეს მიდგომა ხშირად ფრაგმენტულია და ყველა პროფესიულ სასწავლებელში ჯერ კიდევ არ ხორციელდება.

სსსმ სტუდენტებმა უნდა ისწავლონ და იმუშაონ მათთვის შექმნილი სილაბუსით, იმისათვის რომ მიიღწეს მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით მაქსიმალური შედეგი. ადაპტირებული სილაბუსის მიზანია გაზარდოს სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხი,

შექმნას უკეთესი შესაძლებლობები საზოგადოებაში იკლუზიისათვის და მოამზადოს სტუდენტი დასაქმებისათვის.

თვალსაჩინოებისთვის, ქვემოთ მოცემულია ორი მაგალითი, თუ როგორ ადგენენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. მაგალითი #1 ფორმის მიხედვით ხელმძღვანელობს უმეტესი სასწავლებლები, ხოლო მეორე მაგალითი წარმოაჩენს განსხვავებულ მიდგომას და ფორმას.

მაგალითი #1.

პროფესიული განათლების მასწავლებელი: *****

საგანმანათლებლო პროგრამა: მზარეული

ჯგუფი N -

ინკლუზიური განათლების სპეციალისტი: *****

სსსმ სტუდენტი: *****

საგანი: სასწავლო პრაქტიკა

სასწავლო კვირა:

ინკლუზიური განათლების ასისტენტი: *****

სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა	მოდიფიცირებული სასწავლო მასალა/გარემო	იცის / ასრულებს დამოუკიდებლად	იცის / ასრულებს ნაწილობრივ	არ იცის / ვერ ასრულებს
1. ნიგვზიანი ზადრიჯნის, ისპანახის და მწვანე ლობიოს მომზადება	* სამუშაოს შესრულებისას ინსტრუქციები მიეწოდება პედაგოგის ან სსსმპ ასისტენტის მიერ იმისათვის რომ თანმიმდევრობით შეასრულოს დავალება. * ან წინასწარ დასურათებული რეცეპტი რომელის დახმარებით თანმიმდევრობით შეასრულებს დავალებას	* არჩევს პროდუქტებს რომელია კარგი. * რეცხავს საჭირო პროდუქტებს, არჩევს იარაღებს.	* პროდუქტების დაჭრა შეუძლია ნაწილობრივ, სჭირდება ხშირი მითითება როგორ უნდა დაჭრას. * პირად ჰიგიენას იცავს ნაწილობრივ სჭირდება მითითება * ნაწილობრივ ასრულებს შეწვის პროცესს. * შიგთავსის მომზადება პროპორციების განსაზღვრა	
2. „ოლივიე“ სალათის, კომბოსტოს სალათა „კოლეს ლოუს“ და სოკოს სალათის მომზადება	* სამუშაოს შესრულებისას ინსტრუქციები მიეწოდება პედაგოგის ან სსსმპ ასისტენტის მიერ იმისათვის რომ თანმიმდევრობით შეასრულოს დავალება. * სჭირდება სპეციალური საჭრელი პროდუქტის გასათლელად და დასაჭრელად.	* პროდუქტების არჩევა და გარეცხვა, * იარაღების და საჭირო ჭურჭლის მოძიება	* დაჭრა	
კომენტარი				

ხელმოწერები: -----

სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფორმა

ინფორმაციის შეგროვება სტუდენტზე დაკვირვების გზით შესაძლებელია, უზრუნველყონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის იმ წევრებმა, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მას. შესაძლებელია, პროფესიული განათლების მასწავლებლები სსსმ პირის ამა თუ იმ პიროვნული ფაქტორის თუ უნარის შეფასების სტანდარტულ ინსტრუმენტებს არ იცნობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ კომპეტენტურად შეუძლიათ სტუდენტზე დაკვირვების და მისი ნამუშევრების ანალიზის შედეგად, ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება:

- წერის, თხრობის, ანგარიშის თავისებურებების შესახებ
- ქცევის მახასიათებლებზე
- კომუნიკაციის უნარზე
- ინფორმაციის ათვისების და გადამუშავების უნარზე
- ყურადღებაზე, მხსიერებაზე და ა.შ.

კველევის პროცესში გამოკითხული სასწავლებლებიდან ხუთმა კოლეჯმა მატერიალური სახით წარმოადგინა დაკვირვების ფორმები, რომლებსაც ავსებენ პროფესიული განათლების პედაგოგები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტი. დანარჩენმა სასწავლებლებმა აღნიშნეს რომ საჭიროების შემთვევაში მსგავს პროცესს ახორციელებენ და შესაბამის ფორმებსაც ავსებენ. გამოვლინდა სტრუქტურული განსხვავებები დაკვირვების ფორმებს შორის, თუმცა შინაარსობრივად მიზანი უცვლელია - მოხდეს სსსმ პირის ქცევისა და უნარების შეფასება მაქსიმალური შედეგის მიღწევისათვის.

პროფესიული განათლების პედაგოგის დაკვირვების ფორმა შინაარსობრივად მოიცავს სსსმ სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, სტუდენტის სასწავლო მიზნებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებით დასკვნებს, სტუდენტის საჭიროებებისა და გამოწვევების აღწერას, გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის გზები. პედაგოგები ვალდებულები არიან შეავსონ ანკეტა 5 დღის განმავლობაში ყოველი ლექციის დასრულებისთანავე. მასწავლებელმა შესაძლებელია, საფუძვლიანად აღწეროს, როგორ რეაგირებს სტუდენტი განსხვავებულ გარემოში სხვადასხვა გარემო პირობებზე, იცვლება თუ არა სასწავლო პროცესში ჩართულობა დადღის ფონზე, ხალხმრავალ გარემოში, განათების ცვლილებისას და ა.შ. პროფესიული განათლების პედაგოგის დაკვირვების ფორმის ნიმუში მოცემულია დანართი #2-ის სახით დიდი მოცულობის გამო.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების ფორმა შინაარსობრივად მოიცავს სალექციო თემის ზოგად მიმოხილვას, სტუდენტის ჩართულობის მაჩვენებლებს (რამდენად ჩართულია სალექციო პროცესში), და სარეკომენდაციო ნაწილს; ხოლო ასისტენტის დაკვირვების ფორმა მოიცავს სტუდენტზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ქცევების ანალიზს, სალექციო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული დახმარების სტრატეგიების აღწერას, სწავლების მეთოდებს, და შემაჯამებელ კომენტარს.

„ესეიგი თავიდან რომ მოდის სტუდენტი ხომ ვაკეთებთ დაკვირვების ფორმას, ამის შემდეგ ეტაპობრივად კიდევ ვავსებთ, მუდმივად შევდივართ და ვაკვირდებით სტუდენტს, პროგრესი უკვე თვალნათელია ხოლმე. ეს პროგრესი შეიძლება ელემენტარული იყოს მაგალითად სტუდენტი თავიდან ჩაკეტილი იყო და მერე გაიხსნა, უფრო კომუნიკაბელური გახდა. პროგრესის აღრიცხვა ესე ნაკლებად ხდება დოკუმენტურად, მხოლოდ დაკვირვების ფორმებში რაღაც დონეზე.“ - *ინკლუზიური განათლების სპეციალისტი*

ქვემოთ მოცემული მაგალითი #2 ასახავს ერთ-ერთი დაკვირვების ფორმას, რომელსაც ავსებენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები ან ასისტენტები, სადაც აღწერენ სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართულობას და მის თანამონაწილეობას.

მაგალითი #3.			
დებულებების სვეტი	შემოხაზეთ დამაზუსტებელი დებულება		შენიშვნა/ კომენტარი/ მოკლე აღწერა
უყურებს მასწავლებელს, როდესაც ის ხსნის მასალას ან გამოიკითხავს.			
მასწავლებელმა დაუსვა სტუდენტს შეკითხვა			
სტუდენტმა დასვა შეკითხვა	თემატური	არათემატური	
სტუდენტმა უპასუხა შეკითხვას საკუთარი ინიციატივით			
პასუხი შეესაბამებოდა შეკითხვას	სრულად ნაწილობრივ არ შეესაბამებოდა საერთოდ		
მასწავლებელმა მიმართა სტუდენტს არაფორმალური კითხვით ან კომენტარით			
კონტაქტს ამყარებს მასწავლებელთან	ვერბალურად (სიტყვიერად) წერილობით ჟესტური ენის გამოყენებით მიმიკით		
კონტაქტს ამყარებს ჯგუფელთან/ებთან	კი არა (გადაულაპარაკა, ჰკითხა, უპასუხა)		
იცავს ჯგუფში დადგენილ წესებს/ რუტინას	<ul style="list-style-type: none"> სრულიად ნაწილობრივ 		
ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას	<ul style="list-style-type: none"> დამოუკიდებლად დასჭირდა დახმარება: <ul style="list-style-type: none"> ფიზიკური დახმარება სიტყვიერი მინიშნება ნიმუშის ჩვენება ინსტრუქციის გამარტივება ინსტრუქციის განხვავებული ფორმით მიწოდება ინსტრუქციის დანაწევრება 	რა უნდა შეესრულებინა ინსტრუქციით?	
ცდილობს ინსტრუქციის შესრულებას			
შეასრულა მიცემული დავალება	სრულად ნაწილობრვ		
იმუშავა წყვილში	<ul style="list-style-type: none"> კი არ შემითავაზებია 		
იმუშავა ჯგუფურად	<ul style="list-style-type: none"> კი არ შემითავაზებია 		
ითხოვა დახმარება			
გამოხატავს ემოციებს	სოციალურად მისაღები ფორმით სოცალურად მიუღებელი ფორმით		აღწერეთ

სტუდენტის აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტა

ანკეტის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება. ანკეტას ავსებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. ანკეტა ავლენს და აღწერს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის კომპეტენციებს, საჭიროებებს და გამოწვევებს. აღნიშნულ ანკეტას ეფუძნება / უნდა ეფუძნებოდეს სსსმ სტუდენტის სასწავლო მიზნები, ის ეხმარება / უნდა ეხმარებოდეს მასწავლებელს გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის გზების შერჩევაში.

„სწავლის დაწყების დროს მოდიან ჩემთან ინკლუზიის სპეციალიტები და ასისტენტი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილზე და აფასებენ ფუნქციურ და აკადემურ უნარებს, ამას ჭირდება რამოდენიმე გაკვეთილი, ამის შემდგომ ვწერ დასკვნას თუ რა პრობლემები და ასევე ამ პრობლემების გადაჭრის გზებს იქ ვმსჯელობთ ერთად თუ როგორ არის შესაძლებელი ამის გადაწყვეტა, შესაძლებელია რომ რთული საქმიანობა ვერ შეასრულოს მაგრამ მარტივი რაღაც გააკეთოს და ამის შემდგომ დასკვნა იწერება, მეთოდებს განვიხილავთ ერთად და ასევე მათი ჩართულობა სად არის შესაძლებელი, ამის შემდგომ ერთი თვის მერე ისევ ვიკრიბებით და განვიხილავთ ამ ერთი თვის განმავლობაში მისი შესაძლებლობების შესახებ და ვაცნობთ მშობელს გავა თუ არა დიპლომზე“- *ინკლუზიური განათლების სპეციალისტი*

სტუდენტის აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების შეჯამება:

ხუთდღიანი ინტენსიური დაკვირვების შემდეგ თქვენ უკეთ დაინახავდით სსსმ სტუდენტის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს.

გთხოვთ შეაჯამოთ დაკვირვების შედეგები.

გაეცანით დებულებებს და შემოხაზეთ ერთი ან რამოდენიმე მათგანი თქვენი შეხედულებსამებრ.

სურვილის შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით თქვენი აზრით, სტუდენტი უკეთ ითვისებს მასალას, როდესაც:

- ისმენს თემას
- კითხულობს ტექსტს
- უყურებს როგორ კეთდება ფიზიკურად
- ხედავს როგორ გამოიყურება სურათზე (მოცემულია ვიზუალურად)
- საკითხავ მასალა მოცემულია ცხრილების ან დიაგრამების სახით
- იწერს მასალას(კარნახით, გადაწერით)
- მასალა დანაწევრებულია მცირე მონაკვეთებად

კომენტარი:

გთხოვთ მიუთითოთ:

იწერს თუ არა სტუდენტი კარნახით, როდესაც ამ მეთოდს იყენებთ?

კი არა არ ვიცი

იწერს თუ არა სტუდენტი კარნახით მიწოდებულ მასალას თავიდან ბოლომდე. ნაწერი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას

კი არა არ ვიცი

თქვენი აზრით, სტუდენტი უკეთ გადმოსცემს ნასწავლ მასალას:

- ვერმალურად(თხრობით)
- წერილობით
- ტესტით
- პრაქტიკული დემონსტრირებით
- ვიზუალური დამხმარე მასალის გამოყენებით
- სხვა_____

იმ შემთხვევაში თუ სსსმ სტუდენტი ახალი მასალის ახსნისას საჭიროებს დახმარებას, მიუთითეთ რა ინტენსივობის უნდა იყოს ან არის ეს დახმარება:

- სისტემატური(ყოველი ახალი მასალის ახსნის დროს)
- მხოლოდ ზოგიერთ თემასთან დაკავშირებით
- სხვა_____

რა სახის დახმარებას საჭიროებს სტუდენტი:

- სიტყვიერი მითითება (ვერბალური მინიშნება)
- ფიზიკური მინიშნება
- ფიზიკური დახმარება(მასთან ერთად კეთება)
- მასალის გამარტივება
- მასალის დანაწევრება მცირე მონაკვეთებად
- გამეორება
- სხვა

თქვენი აზრით, რა არის ხელისშემშლელი ფაქტორი/გამოწვევა, რომელიც განსაზღვრავს სირთულეებს სასწავლო პროცესში ან დამოუკიდებლად ფუნქციონირებაში:

გჭირდებათ თუ არა ინკლუზური განათლების სპეციალისტის სსსმ სტუდენტის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციის, აქტივობების, კომპეტენციების შერჩევასთან დაკავშირებით პროცესში ჩართვა?

კი არა არ ვიცი

გჭირდებათ თუ არა ასისტენტის ინტერვენცია სსსმ სტუდენტის ადაპტურ/ფუნქციურ უნარებში გამოვლენილ საჭიროებებთან დაკავშირებით?(გადაადგილება, კომუნიკაცია, თვითმფლობელობა, სოც. უნარები, კოგნიტური უნარები)

კი არა არ ვიცი

საჭიროებთ თუ არა დამატებით რესურსს (ადამიანურ, მატერიალურ, მეთოდოლოგიურ) სასწავლო პროცესის უკეთ განსახორციელებლად.

კი არა არ ვიცი

- გთხოვთ დაუბუნდეთ პირველ გვერდს და გააკეთოთ დასკვნა სსსმ სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ.

„სტუდენტი რომ მოდის ვაკეთებთ დაკვირვების ფორმას, ამის შემდეგ ეტაპობრივად კიდევ ვავსებთ, მუდმივად შევდივართ და ვაკვირდებით სტუდენტს, პროგრესი უკვე თვალნათელია ხოლმე. ეს პროგრესი შეიძლება ელემენტარული იყოს მაგალითად სტუდენტი თავიდან ჩაკეტილი იყო და მერე გაიხსნა, უფრო კომუნიკაბელური გახდა. პროგრესის აღრიცხვა ესე ნაკლებად ხდება დოკუმენტურად, მხოლოდ დაკვირვების ფორმებში რაღაც დონეზე.“ - *ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი*

პროფესიულ კოლეჯებში მომუშავე ინკლუზიური პოფესიული განათლების სპეციალისტები, ხშირად ცდილობენ თავისით შექმნან ახალი ფორმები ან დაკვირვების ინსტრუმენტები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში სტუდენტის პროგრესის და მისი ფუნქციური უნარების გაუმჯობესების იდენტიფიცირებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი დაკვირვების ფორმების შედგენისას ხელმძღვანელობენ „ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევით“, თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ ფორმების მოდიფიცირებას და დახვეწას. მაგალითად, ერთ-ერთმა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტმა აღნიშნა, რომ მან შექმნა აკომოდაციის და მონიტორინგის ცხრილი, რომელსაც სთავაზობს პროფესიული განათლების მასწავლებლებს. აღნიშნულ ცხრილებში აღწერილია ზოგადი მეთოდები და სტრატეგიები შეფასებისათვის.

„ერთადერთი არის პროფესიული მოსინჯვის დოკუმენტი რასაც გვიგზავნიან ყოველ წლიურად განახლებული ფორმით, დანარჩენი სასწავლო პროცესი როგორ იგეგმება, ჩვენ რას ვაკეთებთ, რა ოქმებს ვწერთ, ეს ყველაფერი ასე თუ ისე კეთილ სინდისიერებაზე არის დამოკიდებული.“ - *ინკლუზიური განათლების სპეციალისტი*

სსსმ პირთა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შეხვედრის ოქმი

გამოკითხული 26 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხუთ სასწავლებელში გამოთხოვილ დოკუმენტაციათა შორის ასევე მოხვდა სხვადასხვა საკითხზე წარმოდებული შეხვედრის ოქმები. აღნიშნული დოკუმენტების წარმობა სრულიად სასწავლებლის ადმინისტრაციის შიდა გადაწყვეტილების შედეგია, რითაც ისინი ადასტურებენ სსსმ პირთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის დასმისა და განხილვის პროცესის არსებობას. კვლევითმა გუნდმა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ შეხვედრების დანიშნულების, მიზნების და შედეგების აღწერა.

შეხვედრის ოქმის შედგენის მიზნები იყო:

- სსსმ პირის სასწავლო პროცესზე დასწრების შედეგების და სწავლაში აღმოჩენილი სირთულეების განხილვა. შეხვედრას ესწრებოდნენ: სსსმ პირის მშობელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები.

- სასწავლო პროცესისა და შედეგების განხილვა. შეხვედრას ესწრებოდნენ: მულტი. გუნდის წევრი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- სასწავლო პროგრამის დაგეგმვა და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. შეხვედრას ესწრებოდნენ: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი
- სასწავლო პროცესის განხილვა და სსსმ პირის საჭიროების ანალიზის საფუძველზე ვარაუდის გამოთქმა სწავლების პროცესში ცვლილებების შეტანის საჭიროებებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი.
- ლექციებზე დასწრების შედეგების და სწავლაში აღმოჩენილი სირთულეების განხილვა, ასევე შუალედური გამოცდის ფორმის შერჩევა. შეხვედრას ესწრებოდნენ: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებლის და აპლიკანტის რეფლექსია სასწავლო პროცესზე

რიგ კოლეჯებში ხორციელდება სასწავლო პროცესის შედეგების შეფასება და განხორციელების პროცესის ანალიზი. ძალიან ხშირად სასწავლო აქტივობების ორგანიზატორები (ხშირ შემთხვევაში პროფესიული განათლების პედაგოგები) თავიანთი ღონისძიების დასასრულად უშუალოდ განხორციელების პროცესის დასასრულს მიიჩნევენ. ეს სულაც არ არის ასე. მნიშვნელოვანია, აქტივობის განხორციელების შემდეგ პროფესიული მასწავლებლის გუნდმა იზრუნოს იმაზე, რომ შეაჯამოს აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მიღებული შედეგები, შეაფასოს აქტივობის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა და ის მიზანი გააანალიზოს, რომელსაც აქტივობამ მიაღწია. ამ პროცესში მნიშვნელოვანია თვითონ სტუდენტის დამოკიდებულებების, ემოციის, და მოსაზრებების მოსმენა და ანალიზი.

მაგალითი #5. სტუდენტის რეფლექსიის ფორმა

პიროვნება	პიროვნების ინტერესები
	პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები
აპლიკანტის მხრიდან შეკითხვის დასმა	
უკუკავშირის მოთხოვნა	
ემოცია (პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური)	სამუშაო მასალის ფაქტურა
	პროცესი
	სამუშაოს შედეგი/ნაწარმი
შეკითხვები	რას ფიქრობ ამ საქმიანობაზე?
	რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
	არის რაიმე, რაც არ მოგეწონა?

	ამ პროფესიის არჩევის შემთხვევაში როგორ ფიქრობ რისი კეთება გაგიჭირდება?
	გინდა ამ საქმიანობის კიდევ კეთება?

მაგალითი #6. სსსმ სტუდენტის შევსებული რეფლექსიის ფორმა

სტუდენტის რეფლექსიის ფორმა

სტუდენტი: [REDACTED]

პროფესია: კონსტრუქტორი

სპეციალისტი:

შევსების თარიღი: 18.01.16

- ერთი კვირის განმავლობაში რა იყო შენთვის ყველაზე საინტერესო? ბიზნეს კვლევები
- რისი კეთება მოგწონს ყველაზე მეტად? ხატვაში აქონ უაპნინს
- არის ისეთი რამე რაც არ მოგწონს ან გიჭირს გაკეთება? ხატვა
- აგრძელებ სახლში მუშაობას ახალ მასალაზე (კითხვა, კომპიუტერთან მუშაობა, პრაქტიკულად განხორციელება და ა.შ). სი ახს/ეიასფაფ ვესტვამ საძირი მუშაობა
- შენი აზრით რა დაგეხმარება უკეთ სწავლაში? მონიტორინგი

სსსმ სტუდენტის პორტფოლიო

კვლევის შედეგად, გამოკითხულ პროფესიულ სასწავლებელთა 81%-ში შეძლეს სსსმ სტუდენტთა პორტფოლიოების წარმოდგენა. ძირითად შემთხვევებში, ეს იყო მათ მიერ შექმნილი ნახატების, შეკერილი ტანსაცმლის, თექაზე ნამუშევრის ან სხვა მატერიალური სახით შექმნილი ნამუშევრები, განთავსებული საგამოფენო ადგილებზე, სადაც მითითებული იყო სტუდენტის სახელი და გვარი; ან ეს იყო სტუდენტთა ნამუშევრების ფოტო მასალა ცალ-ცალკე საქაღალდეებში, სადაც ასევე იყო მათი საწარმოო პრაქტიკაზე გასვლის და იქ შესრულებული საქმიანობების ამსახველი ფოტო მასალებიც.

სსსმ პირის პორტფოლიო მის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კონტექსტში შექმნილი ინდივიდუალური ნამუშევრების კრებულია. პორტფოლიოში შეიძლება განთავსებული იყოს ნამუშევრების ფოტომასალა, შესრულებული ამოცანები, გაკეთებული პროდუქტი ან გაცემული სერვისი, დახასიათებები, რეკომენდაციები და უკუკავშირი მიღებული დამსაქმებლისგან. რაც უფრო მდიდარია პორტფოლიო მასალით, მით უფრო მკაფიოდ იკვეთება პიროვნების ინდივიდუალური პორტრეტი მისი წარსული და მიმდინარე გამოცდილებით. ეს კი, თავის მხრივ, უფრო ნათელ წარმოდგენას უქმნის პირადად მის მფლობელს და სხვებსაც მის მიღწევებზე. იმისდა მიუხედავად, რომ სასწავლებლების უმრავლესობამ წარმოადგინა სტუდენტების ნამუშევრების ფოტომასალა (მხოლოდ), პროფესიული განათლების პედაგოგის მიერ ამ მასალის მოგროვების თავდაპირველი მიზანს წარმოადგენდა შუალედური ან საბოლოო შეფასება და არა პორტფოლიოს მიზანმიმართული შექმნა სტუდენტზე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული პროფესიული განათლების პედაგოგების აზრით პორტფოლიოს შინაარსი მხოლოდ ფოტომასალის შეგროვება ან შექმნილი ნამუშევრის მატერიალური სახით სასწავლებელში შენახვა/დაარქივება წარმოადგენს. რამოდენიმე სასწავლებელში, პროფესიული განათლების პედაგოგებმა არც კი იცოდნენ მსგავსი პრაქტიკის შესახებ.

„არ არსებობს საერთო რეგულაციები და საერთო დოკუმენტაციის წარმოება, რაც ჩემი აზრით არის ძალიან დიდი პრობლემა, ყველა კოლეჯში არ ხდება დოკუმენტაციის წარმოება და შესაბამისად დინამიკის დანახვა მიჭირს. მაგ. არის ისეთი სასწავლებელი, სადაც ყავთ ბევრი სსსმ სტუდენტი, შესაბამისად იმას არც ვთხოვ, რომ შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ვთვლი, რომ მეტი დრო დაუთმოს სპეციალისტმა სტუდენტის უნარების განვითარებას. იყო შემთხვევები, როდესაც სპეციალისტი ძირითადად დაკავებული იყო დოკუმენტაციის მომზადებით და სსსმ სტუდენტთან არ ქონდა შეხება საერთოდ, ეგ არის ძალიან დიდი პრობლემა. აქედან გამომდინარე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტს მუდმივი კომუნიკაცია ქონდეს სტუდენტთან.“ - მულტიდისციპლინარული გუნდის წევრი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ქმნიან სასწავლო პროცესების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება უფლებამოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება სასწავლებლის პერსონალს შორის; იგეგმება სასწავლო პროცესი და იქნება მისი წარმართების და გაუმჯობესების სტრატეგია რამდენიმე წლით ან თვით; იცემა ბრძანებები ახალი პერსონალის აყვანის, ახალი სწავლის მეთოდის ან/და რეფორმის გატარების მიზნით. ამ და სხვა საკითხებზე შექმნილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა გაზიარებაც მოხდა კვლევის პროცესში, არის შემდეგი:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- სსსმ სტუდენტის მოსმარებების გაწევისა და ინდ. გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა სასწავლებელში;
- 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსია - გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, მათზე პასუხისმგებელი პირები, სავარაუდო პერიოდები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული სტუდენტის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის შესახებ;
- კოლეჯში შშმ პირების გადაადგილებაზე დამხმარე პირის დამტკიცების შესახებ.

თავი III. სსსმ სტუდენტის სწავლის შედეგი და კვალიფიკაციის დადასტურება

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალურად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული სტუდენტების საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად განიხილავს: არის თუ არა სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული, იღებს თუ არა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას, არის თუ არა ჩართული საწარმოო პრაქტიკაში და რამდენად არის სსსმ სტუდენტის სწავლების პროცესში პროგრესი.

„პედაგოგები და მეც, ერთად მაქსიმალურად ვცდილობთ რომ ხელი შევუწყოთ მის სწავლებას, მასალა შესაბამისად გადასცეს. შეიძლება ვერ ერთვებოდეს სტუდენტი, ამ შემთხვევაში შევდივარ და ვეხმარები რომ ჩაერთოს. ზოგს სჭირდება ვიზუალურად მინიშნება, ან რაღაცის ჩვენება, ან რაღაც ინსტრუქციის მიწოდება. ხდება ხოლმე კიდეც მაგალითად ცოტახანი გამომიყვანია, ცალკე ამიხსნია, მერე შესულა და შეუსრულებია ეს ტესტი.“ - პროფესორული განათლების მასწავლებელი

პროფესიული სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას, რომელიც ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ; შუალედური შეფასების რაოდენობა, ჩატარების დრო და პერიოდი განისაზღვრება ინდივიდუალურად სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით. სასწავლო კურსის ბოლოს ხდება დასკვნითი გამოცდის ჩაბარება და შეფასება. დასკვნითი გამოცდის ჩატარების მიზნით, კოლეჯში შესაძლოა შეიქმნას საგამოცდო კომისიაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა გახორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: (1) სწავლის შედეგის დადასტურება (კომპეტენციების დადასტურება); (2) სწავლის შედეგის ვერ დადასტურება.

სსსმ პირებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიულ პროგრამაში ჩართულობის მიზნით მოდულის წინაპირობის დაძლევა არ ევალდებულებათ.

კონკრეტული საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

სსსმ პირების შემთხვევაში, თუკი ხდება სასწავლო მოდულის მოდიფიცირება, სტუდენტი ვერ გადის სრულ კვალიფიკაციაზე და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ხდება ცნობის ან სერთიფიკატის გაცემა.

➤ სტუდენტის მიღწევის შეფასება, დადასტურება და აღიარება

სსსმ სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად ახდენს საგამოცდო მასალისა და გარემოს მოდიფიცირებას.

„რა თქმა უნდა, იქამდე არიან შემზადებული პედაგოგები. მათთან ვატარებ შეხვედრებს და ამ შეხვედრაზე ვგეგმავთ უკვე რომ მოვა სტუდენტი როგორ უნდა დავხვედეთ, რა საჭიროებები აქვს და როგორ უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მუშაობის პროცესში.“ - *ინკლუზიური პროფესიული განათლება სპეციალისტი*

საგამოსცდო ტესტების ჩაბარებისას, ძირითადი მოდიფიცირების ინსტრუმენტების სახით გამოვლინდა:

- ვიზუალური მასალის დამატება;
- შრიფტის შეცვლა;
- დროის დამატება;
- წერიტი ტესტის ზეპირი გამოცდით ჩანაცვლება;
- გამოცდამდე განვლილი მასალის ცალკე სსსმ სტუდენტთან კიდევ ერთხელ გახსენება და სიმულაციური ტესტის გატარება;
- ტესტის მოცულობის შემცირება;
- სავარაუდო პასუხების გამარტივება ან შემცირება და სხვ.

„თავიდან რა თქმა უნდა, ვამზადებ გარემოს რომ მოტივირებულ გარემოში შემოვიდეს. შეიძლება დასჭირდეს დამატებითი რესურსი, ასისტენტი ან მხარდაჭერა.“ - *ინკლუზიური პროფესიული განათლება სპეციალისტი*

„წერა-კითხვა როდესაც არ იცოდა სტუდენტმა, მაგალითად მხარეულის მასწავლებელმა თვითონ მონახა გამოსავალი და ზეპირად უსვამდა იმ კითხვებს, მაგრამ თუ სტუდენტი სმენადაქვეითებულია ამ შემთხვევაში ჩვენი ჩართულობა არის მაქსიმალური, ჩვენ ვიცით წინასწავლ რომ მსგავსი სტუდენტი გვეყოლება და მასალას ვამუშავებთ მარტივი სიტყვებით, მაგრამ იქ ხარისხი არ ვარდება და ასევე ფოტოსურათებით ხდება კიდევ ამის სწავლება. ტესტების შემუშავება როდესაც ხდება მასწავლებელი ამას ჩვენთან ერთად აკეთებს და სხვადასხვა საჭიროების სტუდენტებისთვის სხვადასხვანაირად არის გაკეთებული. ჩვენ გვყავს სტუდენტი რომელსაც მეტყველება უჭირს და და ასევე თავიდან ქონდა კომპლექსი საუბრის და როგორც შეეძლო ისეც არ საუბრობდა, მაგრამ ეხლა უფრო მეტად ჩაერთო პროცესში და მე როდესაც შევედი დაკვირვებისთვის ინგლისურის გაკვეთილზე, ვნახე რომ მასწავლებელმა სტუდენტს დაფაზე ჩამოუწერა ინგლისური სიტყვები და გვერდით მიუწერა ქართული შესაბამისი და მან ისინი ერთმანეთს დააკავშირა, ხოლო იყო შემთხვევა რომ ტექსტი, სადაც სხვა ბავშვებს ზეპირსიტყვიერად ეკითხებოდა, სტუდენტს დაუწერა ეს ტექსტი და მან ეს კლავიატურაზე აკრიფა ქართულად.“ - *ინკლუზიური განათლების სპეციალისტი*

ზოგ პროფესიულ სასწავლებელში ინკლუზიის სპეციალისტების რეკომენდაციით, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა შექმნეს ილუსტრირებული წიგნები, არა მხოლოდ სასწავლო პროცესისათვის, არამედ საგამოცდო ტესტირებების გამარტივების მიზნითაც.

„გამოცდების ჩაბარებაც მოხდა ადაპტირებული წიგნებით, აი მაგალითად თუ უნდა გააკეთოს სუპი და ის ინგრენტიები რაც სჭირდება მას, ეს გვაქვს ბარათების კუთხით და მას შეუძლია ეს დააღაგოს. შედეგს რომ მივალწიოთ სხვადასხვა საჭიროების სტუდენტებთან ეს იყო ის რომ რა საჭიროებაც გაჩნდა ის გავაკეთეთ.“ - პროფესიული განათლების პედაგოგი


სწავლის დასრულებისას სსსმ სტუდენტის მიღწევის დადასტურება და აღიარება ხდება შესაბამისი სწავლის შედეგების ჩამოთვლით და აღწერით. თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იწერება გამოშვების ბრძანება, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. აღნიშნულ ბრძანებაში გაწერილია, რომ სტუდენტმა გაიარა მოდულ(ებ)ი, მაგრამ ვერ დაძლია მინიმალური კომპეტენცია. ამის შემდგომ იწყება ერთობლივი მუშაობა და შეთანხმება იმაზე რომ აღიწეროს დამლეული კომპეტენციები და არ დაიკარგოს მიღწეული შედეგები.

„თუ ჩვენ არ ავცდით შინაარს და ისე მოხდა მასალის ადაპტირება, ჩვეულებრივ სტუდენტი სრულ კვალიფიკაციას იღებს და დიპლომზე გადის და თუ მოხდა ისე რომ ვერ გავედით შედეგზე, ამ შემთხვევაში სტუდენტი იღებს ცნობას და ამ ცნობაში არის ჩაშლილი თუ რა კომპეტენციებს დაეუფლა ის და ასევე ამ ცნობაში გამახვილებულია ყურადღება იმ საკითხებზე თუ რა ძლიერი მხარეები აქვს სტუდენტს, ეს იმისთვის არის საჭირო რომ როდესაც ის მივა დამსაქმებლეთან მას უნდა შეექმნას წარმოდგენა თუ რა კომპეტენციებს დაეუფლა სტუდენტი და ეს ამისთვის არის ძალიან კარგი.“ - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

იმის გამო, რომ არ არის დარეგულირებული და განსაზღვრული პროფესიული სასწავლებლებისთვის ასეთი ცნობის სტანდარტი და შინაარსი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სასწავლებლის ადმინისტრაცია საკუთარი ინიციატივით ცნობას ან სერთიფიკატს აძლევენ ფორმას და განსაზღვრავენ მის შინაარსს. როგორც წესი, ცნობა მოიცავს პროფესიული დაწესებულების სახელს, სტუდენტის სახელსა და გვარს, პირადობის მოწმობის ნომერს, პროფესიული სპეციალობის დასახელებას, სწავლის პერიოდში დადასტურებული მოდულების ჩამონათვალს, დირექტორის ხელმოწერასა და ბეჭედს.

„ცნობა შინაარსობრივად მოიცავს – მიღწეული კომპეტენცია: სახელი, გვარი ასე შემდეგ, სტანდარტულად, კონკრეტულად სასწავლო გეგმაში რა დავუწერე, რა შედეგს მიაღწია. დიპლომს ვერ ვაძლევთ ამ შემთხვევაში, როდესაც მოდიფიცირება ხდება, მაგრამ არის ინფორმირებული მშობელი, დასაწყისში როდესაც კონსულტაციაზე მოდის იქიდანვე ვაფრთხილებთ, რომ თუ სასწავლო პროცესში ესე და ეს გამოვლინდება ჩვენ ვაკეთებთ მოდიფიცირებას და ამ შემთხვევაში ვაძლევთ ცნობას, რომელშიც კომპეტენციები გვაქვს ჩამოთვლილი კონკრეტულად რა შედეგი მიიღო.“ - ინკლუზიური პროფესიული განათლები სპეციალისტი

„ამ შემთხვევაში ვაძლევთ ცნობას, ჩვენი კოლეჯის სატიტულო ფურცელზე, ბეჭდით რა თქმა უნდა და ცნობაში მითითებულია ის უნარები,რისი დაძლევაც მან შეძლო კონკრეტულად , როდესაც ვერ გადის სრულ კომპეტენციაზე, პრაქტიკულზე გადიან და თეორიულზე ვერ გადიან და ამიტომ პრაქტიკულის მიხედვით ზუსტად იმ უნარებს ვწერთ რაც დაადასტურა.“ - პროფესიულის ხელმძღვანელი



სურათი. სსსმ სტუდენტის ცნობის ნიმუში

„მაგალითად ეს არის მზარეულის სპეციალობა, შეუძლია საკვები პროდუქტების დამუშავება, წერია – გაწმენდა, გარეცხვა, დაფასოება და მათი შენახვა. კონკრეტულად არის მოცემული, ამას რომ დაინახავს დამსაქმებელი ეცოდინება რომ „მე ამას დავავალბ..“, ანუ ესე ხდება ყოველთვის ვთქვით პრაქტიკაზე როცა აგვყავს.“- პროფესიულის დირექტორი

თუ სსსმ სტუდენტი გავიდა შეფასებაზე ყველა საგანში და გაიარა პრაქტიკაც, ის ჩვეულებრივ აიღებს ცოდნის დამადასტურებელ დიპლომს. პროფესიულის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დიპლომის გაცემისას არ ხდება დანართის მიზმა, რაც დეტალურად აღწერდა სტუდენტის შესაძლებლობებს.

» სსსმ სტუდენტების დასაქმება

კარიერის დაგეგმვა წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის. არსებობს კარიერის დაგეგმვის სხვადასხვა განმარტება. OECD-ის კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის ნარკვევი განსაზღვრავს მას, როგორც „მომსახურება და ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია დაეხმაროს ადამიანს ნებისმიერ ასაკში და ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, მიიღოს საგანმანათლებლო, გადამზადებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საკუთარი კარიერის მოწყობის მიზნით.“⁴ ეს განმარტება მოიცავს შრომის ბაზარზე და საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას მისი ორგანიზების, სისტემატიზაციის გზით, რომ მასზე წვდომა ადამიანებს ნებისმიერ ადგილსა და დროს ჰქონდეთ. იგი ასევე ეხმარება ადამიანებს დაფიქრდნენ საკუთარ მისწრაფებებზე, ინტერესებზე, კომპეტენციებზე, პირად თვისებებზე, კვალიფიკაციასა და შესაძლებლობებზე და შეუთავსონ ისინი გადამზადების და დასაქმების არსებულ შესაძლებლობებს.

კარიერული დაგეგმვის მომსახურება მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

- კარიერული ინფორმაცია: შრომის ბაზრის შესახებ სისტემური ინფორმაციის მიწოდება (პროფესიათა კატალოგები), შრომის ბაზრის პროგნოზირება, მოთხოვნადი სამუშაოები, შრომის ბაზრის კვლევა, უმუშევრობის დონე, სამომავლო კარიერული და დასაქმების შესაძლებლობები, სასწავლო კურსები და პროფესიები.
- კარიერული განათლება: საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ეხმარება სტუდენტებს მიიღონ გადაწყვეტილება სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის კრიტიკულ ეტაპებზე, მიზნად ისახავს კარიერული მართვის კომპეტენციების განვითარებას, რათა

⁴ OECD და ევრო კომისია: პროფორიენტაცია: სახელმძღვანელო პოლიტიკის შემქნელთათვის, (OECD/ევრო კომისია, პაროზი, 2004), გვ. 10 (ასევე ხელმისაწვდომია ფრანგულად, L'orientation professionnelle: Guide pratique pour les décideurs).

სტუდენტებმა შესძლონ საკუთარი კარიერისა და ცხოვრებისეული შესაძლებლობების მართვა.

- კარიერული კონსულტირება: ტარდება პირისპირ ან პატარა ჯგუფებთან და აქცენტი კეთდება განსხვავებულ კარიერულ გამოწვევებზე, რომლის წინაშე შესაძლოა აღმოჩნდეს პიროვნება.

კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები არიან გამოკითხულ პროფესიული სასწავლებლების 77%-ში. მათ პასუხისმგებლობას წარმოადგენს პროფესიული სასწავლებლების პოტენციურ სტუდენტებთან შეხვედრა მათი მოზიდვის მიზნით, კონსულტირება პროფესიისა და მომავალი დასაქმების ადგილის შერჩევის პროცესში, მომზადება დამსაქმებელთან შესახვედრად, სამუშაო ადგილის ძიებისას და სხვა.

ინკლუზიური განათლების გზამკვლევის შედეგად კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის ძირითადი მოვალეობებია:

- ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობა;
- სტუდენტისთვის პროფესიისა და მომავალი დასაქმების ადგილის შერჩევისას კონსულტაციას გაწევა, პრაქტიკის ბაზის, დამსაქმებლის მოძიებაში მხარდაჭერა;
- დამსაქმებელთან სტუდენტის ადვოკატირება;
- მიყლის სერვისის აუცილებლობის განსაზღვრა და დასაქმების ადგილზე ამ სერვისის განხორციელებაში მონაწილეობა.

კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ კოლეჯში კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის ჩართულობა სასწავლო პროცესშიც საკმაოდ მოცულობითია, რადგან ისინი მოსინჯვისა და გასაუბრების ეტაპზეც აქტიურად არიან ჩართულები და საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვასაც სრულიად თვითონ ახორციელებენ.

„ზოგადად ჩემი საქმიანობა არამარტო კონსულტირება და ღონისძიებების ორგანიზებაა ამ კოლეჯში, არამედ არის ასევე ისეთ კომპონენტებში სტუდენტების კონსულტირება როგორცაა გასაუბრების ტექნიკები, სემინარებისა და შეხვედრების ჩატარება, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის დაწერა და სხვა.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

პროფესიული განათლების ბოლო ეტაპზე კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან პასუხი უნდა გაეცეს ყველაზე საინტერესო კითხვას, შეძლებს თუ არა სტუდენტი დასაქმებას, სად და რამდენი ხნით. კითხვაზე, როგორ და რამდენად ეფექტურად ხდება სსსმ კურსდამთავრებულის დასაქმება, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ეს ყველაზე მძიმე და რთული პროცესია. ისევე როგორც საწარმოო პრაქტიკის გავლისას, უმრავლეს შემთხვევებში დასაქმებაც ხდება პროფესიული სასწავლებლის პარტნიორ კომპანიებში, პროფესიული პედაგოგების საკუთარ კერძო დაწესებულებებში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაფორმებული აქვთ

ხელშეკრულებები ან მემორანდუმები ბიზნეს ობიექტებთან. აქაც, როგორც კვლევამ აჩვენა, თანამშრომლობის ეს ნაწილი უფრო მეტად პირად კონტაქტებზე და პარტნიორულ ურთიერთობებზე გადის. რესპოდენტების აზრით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პარტნიორი ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის პრობლემა არ აქვთ. სასწავლებლები საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე აწვდის ინფორმაციას სსსმ / შშმ სტუდენტის შესახებ, კერძოდ სსსმ სტუდენტის პროფესიულ უნარებზე; ქცევის თავისებურებებზე და ა.შ. იმ შემთხვევაში თუ დამატებითი ინფორმაციის მიღების საჭიროება ვლინდება, უკავშირდებიან საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს და ის ახდენს რეაგირებას.

„ძალიან გამართული კომუნიკაცია და ურთიერთობა გვაქვს. ჩვენც რაღაცეებსაც ვთავაზობთ ხოლმე, ისინიც გვეუბნებიან თავიანთ აზრს და ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ“ - *სამკერვალო*

„სსსმ სტუდენტებს ძირითადად თავიანთი პრაქტიკის ხელმძღვანელი ყავთ ხოლმე, ჩვენთან ვინც იყვნენ რამე განსხვავებული და განსაკუთრებული არაფერი არ სჭირდებოდათ“ - *მინანქრის წარმოება*

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აწვდიან ინფორმაციას ზეპირი ფორმით. თუმცა რესპოდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მსგავსი ფორმით კომუნიკაცია მათთვის მისაღებია. ასევე აღსანიშნავია, რომ ხუთი რესპოდენტიდან მხოლოდ ერთმა აღნიშნა რომ სსსმ/შშმ სტუდენტის მიღებას ახორციელებს გასაუბრების საფუძველზე.

გამოკითხული რესპოდენტების აზრით სსსმ/შშმ პირის დასაქმების უმთავრეს დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ფიზიკური გარემო, რომელიც არ არის ადაპტირებული. გარემოს პრობლემა პირდაპირ არის დაკავშირებული ტრანსპორტთან, გადაადგილებასთან. ამ პრობლემის წინაშე დამსაქმებელი უძღურია.

ერთ-ერთ ბარიერს ასევე წარმოადგენს სამუშაოს სპეციფიკა. იმ შემთხვევაში თუ შესასრულებელი სამუშაო განსაკუთრებით მძიმეა, მოითხოვს ფიზიკურ ძალას, ან სიფრთხილის განსაკუთრებულ ზომებს, დამსაქმებელი თავს იკავებს სსსმ/შშმ პირის დასაქმებისგან.

„ჩვენთან 800 გრადუსამდე ტემპერატურა, იქ რაღაცას ხელი რომ დაადოს... რომ ვიცოდე რომ არ აქვს ესეთი მიდრეკილებები და ცხოვრებაში ესე არ გაუკეთებია კიდევ ხო. მარტო იმიტომ ვერ დავასაქმებ რომ ვფიქრობ არ ვიქნები დაცული, მაინც ისეთი საქმეა, რამე არ დაიზიანოს. სხვა არავითარი პრობლემა არ მაქვს. უნებლიედ შეიძლება რაღაც ისეთი გააკეთონ რომ ვერ გაიაზრონ და ჩემი კიარ გააფუჭონ თვითონ დაიზიანონ რამე“ - *მინანქრის ნაკეთობების წარმოება*

„ეს არის ყველაზე მძიმე თემა, ბევრს აქვს იმის მოლოდინი და გონიათ რომ უნდა დავასაქმოთ, ძირითადად ამას მაინც მშობლები კითხულობენ, ერთადერთი ის არის რომ წარმატებული და პროფესიონალი კადრი ყველას ჭირდება, იმ პროფესიებთან მიმართებაში რაც მოთხოვნადია და რაც ყველას ჭირდება, მაგრამ რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში უფრო ძნელია ყველაფერი, რადგან ეს არის საზოგადოების და დამსაქმებლების მიმღებლობა ამ ადამიანების მიმართ.“
- *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

პროფესიული სასწავლებლის კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში ხშირად ცდილობენ გამართონ ღია კარის დღეები სპეციალურად დამსაქმებლებისათვის, სადაც ხდება კურსდამთავრებულთან გასაუბრება, სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა და მომავალი თანამშრომლობის მიზნით მოლაპარაკებების წარმოება. უფრო მეტიც, მათი თქმით ისინი აქტიურად ცდილობენ დამსაქმებლის საკვალიფიკაციო გამოცდებზე დასწრებას, რათა სტუდენტებს გაუჩნდეთ მეტი დასაქმების შესაძლებლობა.

„თავიდან სილაბუსების შედგენაში ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, ასევე ჩვენ თვითონ ვატარებთ კვლევებს თუ რა საჭიროება აქვთ დამსაქმებლებს, როგორი უნარ-ჩვევების ადამიანების მიღების სურვილი აქვს და ვცდილობთ რომ მაქსიმალური ინფორმაცია მივიღოთ ამ კუთხით რომ შემდგომ დასაქმება განვახორციელოთ სპეციალური საჭიროების მქონე პირების.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

სსსპ სტუდენტების დასაქმება დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ყველა გამოკითხულმა რესპოდენტმა ერთხმად აღნიშნა, რომ იმისდამიუხედავად რომ მიმღებლობა საზოგადოებაში შესამჩნევად გაზრდილია, დასაქმების პროცესი მაინც მეტ ძალისხმევას ითხოვს როცა საქმე სსსპ სტატუსის პირებს შეეხებათ.

„დამსაქმებლებს როდესაც ვხვდებით ყოველთვის ვეუბნებით რომ აიყვანდნენ თუ არა სსსპ სტუდენტს სამუშაოზე, მაგრამ ყველა თავს არიდებს, ამას წინათ იყო ჩემთან მოსული დამსაქმებელი რომელსაც ჭირდებოდა ბულალტერი, ჩვენ გვყავს კურსდამთავრებული რომელიც ნაღმზეა აფეთქებული და ორივე კიდური არ აქვს, მაგრამ როდესაც ეს ინფორმაცია მივაწოდე მას, მან კატეგორიული უარი განაცხადა მისი სამსახურში მიღებაზე.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევები განსხვავებულია რეგიონალურ ჭრილშიც. დასავლეთ საქართველოში არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს,

განსაკუთრებით ზღვისპირა ნაწილში ან მის სიახლოვეს, მეტი შესაძლებლობები აქვთ, რადგან ტურისტულ საქმიანობებთან დაკავშირებული სერვის პერსონალზე ყოველთვისაა მოთხოვნა და სასწავლებლებიც მეტი შეთანხმების მიღწევას ახერხებენ.

რეგიონებში საწარმოთა რაოდენობა ასახავს რეგიონის ბიზნეს გარემოს მიმზიდველობას. საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა თითქმის 700,000-ია, მათგან აქტიურია მხოლოდ 26%. აქტიური ბიზნეს სუბიექტების 42% თბილისშია რეგისტრირებული, მეორე ადგილზეა იმერეთი 14%-ით. ყველაზე ნაკლები სუბიექტებია რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში (1%), მცხეთა-თიანეთში (2%), სამცხე-ჯავახეთსა (3%) და გურიაში (3%)⁵. პროფესიული სასწავლებლებისთვისაც რეგიონალური მაჩვენებლებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი გამოწვევაა დაითანხმონ საწარმოები მათი კურსდამთავრებულების მიღებაზე, განსაკუთრებით სსსმ სტუდენტების შემთვევაში.

„ჩვენი რეგიონი, სამცხე-ჯავახეთი დიდი და მნიშვნელოვანი საწარმოებით და კომპანიებით არ გამოირჩევა, არის მცირე მეწარმეები, განსაკუთრებით კერძო ბიზნესთან ვცდილობთ კარგი ურთიერთობა დავამყაროთ, მათ კეთილ ნებაზე ვართ მაინც დამოკიდებული.“ - კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი

სსსმ სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პროფესიული სასწავლებლების კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები ერთხმად, ერთნაირი მოსაზრებით გამოირჩეოდნენ, რაც სავარაუდოდ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის და გამოცდილების შედეგად დაადგინეს - თუ კერძო დამსაქმებლებს ექნებათ რაიმე სახით ხელშეწყობა და დაუდგინდებათ გარკვეული შეღავათები სსსმ პირის დასაქმების შემთხვევაში, ისინი მეტად მოტივირებულები გახდებიან მოახდინონ როგორც ფიზიკური გარემოს ადაპტირება ასევე ხელი შეუწყონ სსსმ პირებს მეტი კვალიფიკაციის მიღებაში.

„დამსაქმებლებიც არიან ისეთებიც, რომლებსაც არ აქვთ პრობლემა თუ საქმეს გააკეთებენ, მაგრამ არიან დამსაქმებლები, რომლებსაც აქვთ შიში იმისა რომ პასუხისმგებლობა აიღონ ამ კუთხით, რადგან არის საპასუხისმგებლო სამუშაო, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ რომ სახელმწიფომ მაინც რამე უნდა გააკეთოს ამ კუთხით რომ დამსაქმებელს მოტივაცია გაუჩნდეს მსგავსი პირების დასაქმებით.“ - კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი

⁵ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

„არის შემთხვევები რომ დამსაქმებლები თავს იკავებენ უსაფრთხოების გამო და ეს თუ იქნება დარეგულირებული მეტ-ნაკლებად კარგი იქნება. ასევე დამსაქმებლებმა რომ არ განასხვავონ სსსმ პირი და ჩვეულებრივი ადამიანი კარგი იქნება. ამისათვის დამსაქმებელი რაღაცით უნდა დააინტერესო, რაღაც შეღავათები რომ ქონდეს დამსაქმებელს.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

„როდესაც დასაქმება უნდა მოხდეს ამ პირების, მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ გამოირჩევიან ის ადამიანები რომ დაიტოვებენ და დაასაქმებენ მათ, მაგრამ რომ იყოს სახელმწიფოს მიერ რაღაც შეღავათები გადასახადების კუთხით ეს მათთვის იქნება დიდი მოტივაცია რომ დაასაქმონ სსსმ პირები.“ - *კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი*

თავი IV. ინკლუზიური სასწავლო გარემო

სწავლის დაწყებამდე, მოსამზადებელ საკითხებზე მუშაობისას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტს არანაირი დამატებითი მომზადება ან მომსახურება არ სჭირდება და პროფესიულ დაწესებულებაში არსებული უნივერსალური დიზაინით მოწყობილი სასწავლო გარემო, თითოეული სტუდენტის წინსვლაზე ორიენტირებული მასწავლებელი და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი სავსებით საკმარისია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი სრულად და ხარისხიანად დაეუფლოს არჩეული პროფესიის კომპეტენციებს და წარმატებით დასაქმდეს.

სსსმ სტატუსის სტუდენტის მიღებისას, არცთუ იშვიათად საჭირო ხდება დამატებითი მომსახურების გაწევა. მაგალითად: ტრანსპორტირება საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებელში და უკან, ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურება, სივრცეში ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის მომსახურება და ა.შ. ასეთ შემთხვევაში არსებითია სწავლის დაწყებამდე პიროვნების აუცილებელი მომსახურებით უზრუნველყოფა.


საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ, მეოთხე მუხლის მიხედვით, „საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობა, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა.“

» მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპოდენტების აზრით ყველა სსსმ სტუდენტი უზრუნველყოფილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რაც სჭირდებათ სასწავლო პროცესის დროს. იმ შემთხვევაში თუ პროცესში დადგება საჭიროება რესურსის შეძენის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია ეფექტურად რეაგირებს.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საჭიროების გამოვლინებაზე ძირითადად პასუხისმგებელია პროფესიული ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და პედაგოგი.

იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება საჭიროება, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ან პროფესიული განათლების პედაგოგი წერს ახსნა-განმარტებით ბარათს, სადაც უთითებს ამა თუ იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საჭიროებას, რომელსაც განიხილავს სასწავლებლის დირექტორი და ბუღალტერი, შემდეგ მოთხოვნა ეგზავნება ლოჯისტიკას, რომელიც მოთხოვნაზე სწრაფად რეაგირებს.




„ამ შემთხვევაში ადმინისტრაცია ყველაფერს გააკეთებს. ასეთი პრობლემა არ მახსენდება, რომ ვინმეს საჭიროება ჰქონოდა რესურსზე და ადმინისტრაციას ვერ დაეკმაყოფილებინა, ეგეთი რაღაცა ჩვენთან არ ხდება.“ - პროფესიული განათლების მასწავლებელი

„თუკი რაღაც საჭიროება გამოვლინდა ხდება რეაგირება. ერთ სტუდენტს სჭირდებოდა ადაპტირებული სკამი და ამ შემთხვევაში შევიძინეთ. მე ვახდენ იდენტიფიცირებას რა სჭირდებოდა, რისთვის სჭირდებოდა, მოხდა აღწერა მისი მდგომარეობის და შემდეგ შეძენა. ანალოგიურად იყო ხმის ჩამწერი დაგვჭირდა.“ - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

„ხატვის დროს გვქონდა ფანქრები, გუაშები, საშლელეები, ფანქრები ყველაფერი გვქონდა. ხატვის გარდა ვსწავლობდი ძერწვას, გვახატინებდა, გვაძერწინებდა, ყველაფერს ვაკეთებდით. მქონდა ამისთვის ყველა ხელსაწყო.“ - სტუდენტი

➤ ფიზიკური გარემო



■ პანდუსი ■ ლიფტი ■ ადაპტირებული ოთახი
■ კედლის მოაჯირები ■ ადაპ. სველი წერტილი

რეკომენდირებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემო აკმაყოფილებდეს არქიტექტურულ - უნივერსალური დიზაინის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობების მისაწვდომობას ყველასთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. თუმცა ეს არ გამოირიცხავს, რომ განხორციელდეს ინდივიდუალური ადაპტაციები კონკრეტული საჭიროების მქონე პირთათვის. (წყარო -გზამკვლევი)

კვლევის ფარგლებში მონიტორინგი განხორციელდა 26 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ადაპტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად შშმ/სსსმ პირებისთვის უნივერსალური დიზაინის პრინციპით იყო

რეაბილიტირებული რიგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შენობები. კვლევის პერიოდში რიგ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„როგორც ხედავთ ჩვენთან რემონტია, მალე ლიფტიც იქნება და არავითარი პრობლემები აღარ იქნება გარემოსთან დაკავშირებით. მანამდეც გვქონდა, მაგრამ ეხლა კიდეც უფრო გაუმჯობესდება.“ - პროფესიული განათლების მასწავლებელი

„ყველაფერი გაკეთებულია ჩვენთან. მოწყობილია ყველაფერი. ლიფტი გვაქვს, პანდუსი გვაქვს, ფსიქოლოგები არიან დასდევენ ამ სტუდენტებს. შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება, სველი წერტილებიც ადაპტირებული აქვთ. ეს სახელოსნო არ არის ადაპტირებული, არც არიან აქეთ სსსმ სტუდენტები. გვაქვს სხვა სახელოსნოებიც.“ - პროფესიული დაწესებულებების ადმინისტრაცია

„მათთვის ფიზიკური გარემო სრულად ადაპტირებული იქნება, როგორც ხედავთ გვაქვს რემონტი და მისი დასრულების შემდეგ შენობა-ნაგებობა ყველანაირი საჭიროების მქონე სტუდენტისთვის იქნება ადაპტირებული. იმ ნაწილში კი სადაც ადაპტაცია არ არის საკმარისი გვაქვს დამატებითი სერვისები, ასისტენტის სახით. ამ ეტაპზე რა საჭიროებების მქონე სტუდენტებიც გვყავს მათი საჭიროებები სრულად არის დაკმაყოფილებული.“ - პროფესიული დაწესებულებების ადმინისტრაცია

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ იმ დაწესებულებებში, სადაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, გამოკითხული რესპოდენტების აზრით ფიზიკური გარემოს ბარიერების შესამცირებლად სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება სწრაფი რეაგირება.

ფიზიკურ გარემოში ბარიერების იდენტიფიცირებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პასუხისმგებელია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც აწვდის ინფორმაციას ადმინისტრაციას, რომელიც ახდენს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რეაგირებას.


„ჩვენი ინდივიდუალურად საშუალებიდან გამომდინარე მოგვირგია გარემო, სახელური დაგვიმაგრებია. დაწესებულების ხარჯებით გაგვიკეთებია.“ - ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

„მაგალითად ცერემზლარული დამბლით რომ გვყავდა სტუდენტი, მისთვის პანდუსები იყო მოწყობილი, ასევე ავტობუსი ემსახურებოდა, მძღოლი ყავდა და სასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ბარიერები შემცირდეს კოლეჯის გარემოში.“ - ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეტლით მოსარგებლე პირი ვერ მიიღეს იმ მიზეზით, რომ ლიფტი არ ქონდათ და შესაბამისად მოხდა პირის სხვა კოლეჯში გადამისამართება. შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილი არ არის მზად სხვადასხვა დარღვევის მქონე სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს სსსმ სტუდენტის სწავლების პროცესზე.

❖ სსსმ სტუდენტის განათლებაში ჩართული ადამიანური/პროფესიული რესურსი და სხვა მხარდამჭერი რესურსი



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით თითქმის ყველა კოლეჯში შექმნილია ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდი, რომელთა შემადგენლობაში შედიან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე პირთა ასისტენტები, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდი, სასწავლებლებლების ადმინისტრაცია. სამიზნე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს აწვდიან დამატებით სერვისს, კერძოდ, სპეციალური ასისტენტი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, ჟესტური ენის თარჯიმანი და მძღოლი.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (81 %) - კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი თვალყურს ადევნებს და აქტიურად არის ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესში, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის და დაკვირვების საფუძველზე ახდენს სტუდენტის საჭიროებების გამოვლენას, ასევე ის უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში თითოეულ სტუდენტმა მიიღოს დამატებითი სერვისი, მაგ. პირადი ასისტენტის, მძღოლის ჟესტების ენის სპეციალისტის და ა.შ. მომსახურება. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოკითხული რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით თითქმის ყველა კოლეჯში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ჩართულია ინდივიდუალური

სასწავლო გეგმის და სწავლების სტრატეგიის შემუშავებაში. თუმცა კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავება ხდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების მიერ, რომელსაც აწვდიან პროფესიული განათლების მასწავლებელს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტი (42 %) - კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი ჩართულია შემდეგ აქტივობებში, კერძოდ: საგაკვეთილო პროცესში ის უზრუნველყოფს სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვას; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ასისტენტი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში; ასისტენტი ეხმარება პედაგოგებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში და ასევე უზრუნველყოფს სტუდენტის უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნვას.

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი (77%) - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერები კონსულტაციას უწევენ პოტენციურ და არსებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს კარიერის დაგეგმვაში. აწყობენ „ღია კარის დღეებს“, სადაც საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობენ პროფესიულ სასწავლებლებს, აწარმოებენ კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა ბაზას და ასევე ეხმარებიან მსურველებს პროგრამებზე რეგისტრაციაში. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესპოდენტების აზრით არსებული პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების კვალიფიკაცია არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროა მათი გადამზადება.

პროფესიული განათლების მასწავლებელი - კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პროფესიული განათლების პედაგოგი საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტთან ერთად ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას. სამიზნე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოკითხულ პროფესიული განათლების მასწავლებლების აზრით პერიოდულად ხდება სასწავლო პროცესის შეფასება, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ რამდენად აღწევს სსმ სტუდენტი სასურველ შედეგს, იმ შემთხვევაში თუ ვერ აღწევს სასურველ შედეგს საჭიროების შემთხვევაში ახდენენ აკომოდაციას ან/და მოდიფიკაციას.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია - კვლევის შედეგად გამოკითხული რესპოდენტების აზრით დაწესებულების ადმინისტრაცია თანამშრომლებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი და ყურადღებიანი არიან. ადმინისტრაცია საჭიროებების გამოვლენის შემთხვევაში სწარავად რეაგირებს, მაგ. მომსახურების, აღჭურვილობის და ა.შ მოძიებისა და უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლობს საწარმოო პრაქტიკის ბაზის უზრუნველმყოფ

საწარმოებთან, რიგ პროფესიულ დაწესებულებებში ადმინისტრაცია ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს, კერძოდ, ხდება ლექციებზე დასწრება.

მულტიდისციპლინარული გუნდის წევრი - კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტების აზრით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდი პასუხისმგებელია, რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებაზე, რომელსაც აქვს მონიშნული, რომ ის არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი. მულტიდისციპლინარული გუნდის წევრი ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი სტატუსის დადგენას - დადასტურება ან უარყოფას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლებასა და მხარდაჭერაში ჩართული სპეციალისტები სსსმ სტუდენტის საჭიროებებზე ეფექტურად რეაგირებენ. როდესაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დგება დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროება, მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტის, შესტური ენის თარჯიმანის, ორიენტაციის და მობილობის ტრენერის და ა.შ., სასწავლებელი აცხადებს ვაკანსიას და გამოგზავნილი რეზიუმეების საფუძველზე ხდება მათი შერჩევა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტის შერჩევის დროს ყოფილა შემთხვევები, როდესაც გასაუბრებას ესწრებიან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელიც და მათი რეკომენდაციის საფუძველზე ხდება ასისტენტის აყვანა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებით რეგიონებში ხშირ შემთხვევაში დეფიციტს წარმოადგენს მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის ტრენერის, შესტური ენის თარჯიმანის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და ა.შ. მოძიება და მოძიების შემთხვევაში შერჩეული სპეციალისტების დათანხმება (ძირითადი მიზეზი დაბალი ანაზღაურებაა).

გამოკითხული რესპოდენტების აზრით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში დახმარე სპეციალისტების როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი და დიდ გავლენას ახდენს, მაგ. როდესაც სასწავლებელში ყავთ სმენადაქვეითებული სტუდენტი, შესტების ენის თარჯიმანის გარეშე პედაგოგები ვერაფერს ვერ აკეთებენ და შესაბამისად სტუდენტიც ვერ სწავლობს.

„ხშირად გვჭირდება ხოლმე დამატებითი ადამიანური რესურსი, ასისტენტიც ხშირად დაგვჭირვებია, მძღოლიც, ჟესტური ენის თარჯიმანი და გვყავდა კიდევ პროგრამის სპეციალისტი, რომელმაც უსინათლო სტუდენტს შეასწავლა ხმოვანი პროგრამა, ასევე გვყავდა მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი. რა თქმა უნდა, კომპეტენციის გარეშე ესეთ პირებს ვერ მივიღებთ, ვაცხადებთ ხოლმე ვაკანსიებს და მათ მიერ გამოგზავნილი რეზიუმეების საფუძველზე ხდება მათი შერჩევა. ასისტენტის ვაკანსიაზე არის ხოლმე შემთხვევები რომ სამინისტროს სპეციალისტიც ესწრება გასაუბრებას და მისი რეკომენდაციის საფუძველზე ხდება აყვანა. ის რომ ვერ გაუმკლავდა ვინმე საქმეს და წავიდა ესეთი შემთხვევა არ გვქონია.“ - პროფესიული სასწავლებლის დირექტორი

„დამხმარე ასისტენტი რამდენიმეჯერ დაგვჭირდა, როდესაც იყო ქცევის პრობლემა და მძიმე გონებრივი ჩამორჩენა. ზოგჯერ ჩვენც, სპეციალისტებიც ვითავსებთ ხოლმე ასისტენტის ფუნქციას.“ - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

კახეთის რეგიონში ჭირს კვალიფიციური კადრები, ისედაც არ არის ბევრი და ანაზღაურების პრობლემაცაა, გადაადგილების, მანძილის გამო უჭირთ წამოსვლა. ვთქვათ თბილისიდან რამდენიმემ არ ისურვა, ახალსოფლიდანაც კი არ ისურვეს იმის გამო რომ მანძილია და უნდა იაროს და საცხოვრებელში კი არის საშუალება რომ ნებისმიერი მასწავლებელი დაბინავდეს, მაგრამ... ახლა აქ ცხოვრობს ჩვენს საცხოვრებელში ჩვენი ჟესტური ენის თარჯიმანი, ხელი ეწყობა ოჯახიდან, ყრუთა კავშირს და ვუკავშირდით და იმან გაგვიწია რეკომენდაცია.“ - პროფესიული განათლების მასწავლებელი

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ტრანსპორტით უზრუნველყოფის საჭიროება რთულ პროცედურებთან არის დაკავშირებული აღნიშნული მომსახურების შესყიდვა. სატრანსპორტო მომსახურების შემთხვევაში ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს, რომელიც დაახლოები სამი კვირა გრძელდება და ამ პროცესის დასრულებამდე სსსმ სტუდენტის სასწავლო პროცესზე ვერ ესწრება.

„ტრანსპორტირების შემთხვევაში გვაქვს მხოლოდ დროსთან დაკავშირებული პრობლემა, რადგან საჭიროა ტენდერის გამოცხადება და დაკავშირებულია პროცედურებთან, რაც დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში გრძელდება. მძლოლი რომ არ გვყავდა, სანამ ავიყვანდით, სტუდენტი ვერ დადიოდა.“ - პროფესიული სასწავლებლის დირექტორი


„უმეტესობა იღებს ამ სერვისებს, მაგრამ ხშირად დროში იწელება ხოლმე ეს პროცესები, თუმცა ვაუჩერებმა ეს მოგვიწესრიგა და ბევრად უფრო მარტივად ხდება თუნდაც ასისტენტის აყვანა და ა.შ., მაგრამ ასევე არის პრობლემა იმისა თუ რამდენად მოდის კოლეჯი ჩვენს რეკომენდაციებზე.“ - მულტიდისციპლინარული გუნდის წევრი

თავი V. ინკლუზიური პროფესიული განათლება

» სსსმ სტუდენტების აღქმა და დამოკიდებულებები


კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სსსმ სტუდენტები, როგორც კურსდამთავრებული ასევე მიმდინარე. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მოხდა სხვადასხვა სპექტრის მქონე სტუდენტების შერჩევა, იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის გუნდს კარგად ესმოდა - სტუდენტთა უმეტეს ნაწილს ექნებოდა გაუცხოება და არ მოისურვებდა სრულყოფილად პასუხების გაცემას დასმულ შეკითხვებზე. თუმცა, შედეგები შეიძლება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, რადგან, მარტივი შეკითხვების დასმით საბოლოოდ გამოვლინდა მათი საკვლევი საკითხებისადმი დამოკიდებულებები და ზოგადი აღქმა ინკლუზიური განათლების მიმართ. ცხილში წარმოდგენილია ყველა ის საკითხი რაზეც მოხდა მათთან გასაუბრება და გაცემული პასუხების პროცენტული მაჩვენებლები.

ვინ გირჩიათ სწავლა პროფესიულ სასწავლებელში ჩაგებარებინათ?




* სხვა კატეგორიაში იგულისხმება მეზობელი, ფსიქოლოგი, პროფ სასწავლებლის ადმინისტრაცია, სკოლის დამრიგებელი


სასწავლო პროცესის შეფასება




სამეწარმეო პრაქტიკის შეფასება



გისარგებლიათ თუ არა ისგ-ით




რამდენად მონაწილეობდით ისგ-ს შედგენაში?




ხელმისწავდომია თუ არა მატერიალურ-ტექნიკური რესურსი




ვინ ზრუნავს / იზრუნა, რომ საჭირო რესურსი გქონოდათ?




რამდენად ნათელია / ნათელი იყო თქვენთვის მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა?




უზრუნველყო თუ არა პროფ სასწავლებელმა მხარდამჭერი სერვისებით?




პროფესიულ სასწავლებელში მიღებული კვალიფიკაცია გაძლევს თუ არა დასაქმების შესაძლებლობას?



რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს თქვენს სასწავლებელში?



გაიზარდა თუ არა თქვენი მეგობრების წრე პროფესიული სასწავლებელში სწავლის შედეგად?



➤ პროფესიულ სასწავლებლების პერსონალი და ინკლუზიური განათლება


პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის მონიტორინგის პარალელურად ჩატარდა გამოკითხვა და მცირე კითხვარის შევსება დაწესებულებების ხელმძღვანელების, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს და ასისტენტების მიერ. კითხვარის შევსების მიზანს წარმოადგენდა სამიზნე ჯგუფებს შემოეხაზათ მათთვის ყველაზე მეტად საინტერესო და პრიორიტეტული საკითხი რაზეც ისურვებდნენ კომპეტენციის ამაღლებას. რესპოდენტებს ქონდათ შესაძლებლობა ჩამოთვლილი საკითხების გარდა დაესახელებინათ სხვა დამატებითი მათთვის საინტერესო საკითხი.

კითხვარის შევსებისას რესპოდენტს უნდა გაეკეთებინათ რანჟირება დასახელებულ პრიორიტეტულ საკითხებს შორის, რომლებსაც მიენიჭა ქულა - I არჩევანი -10 ქულა, II არჩევანი - 5 ქულა, III არჩევანი - 3 ქულა. საბოლოოდ გამოვლინდა თითოეულ საკითხზე ჯამური ქულა შემდეგი ფორმულით:

საერთო ჯამი რესპოდენტთა რაოდენობის ერთ საკითხზე გამრავლებული არჩევანის ქულაზე.

შედეგები რესპოდენტთა ჯგუფების მიხედვით მოცემულია გრაფიკებზე #1, #2 და #3. დიაგრამაზე ასახულია პირველი ხუთი ყველაზე მეტად დასახელებული საკითხი, ხოლო მას მოსდევს დანარჩენი საკითხების ჩამონათვალი მინიჭებულ ქულათა კლებადობით.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და ასისტენტები - სულ 27



პროფესიული სასწავლებლის დირექტორები/ხელმძღვანელები და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები - სულ 19

სსსმ პირების პროფესიული ორიენტაცია	აქტივობის ანალიზი
ეფექტიანი ასისტირება/დახმარების სტრატეგიების განსაზღვრა	სასწავლო აქტივობების ცვლილება სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით დაკვირვების წარმოება და მონაცემების გამოყენება
ინტელ. დარღვევები და სწავლების სტრატეგიები	სასწავლო მასალის ადაპტირება სმენის დარღვევები და სწავლების სტრატეგიები
ქცევის მართვა	სასწავლო და სამუშაო გარემოს ანალიზი ჟესტური ენა
ისგ-ის ფორმირება და წარმოება	ისგ-ს შედგენა ფიზიკური დარღვევები და სწავლების სტრატეგიები

პროფესიული საგნის პედაგოგი - სულ 18

ქცევის მართვა	ჟესტური ენა
სასწავლო მასალის ადაპტირება	ინტელექტუალური დარღვევები და სწავლების სტრატეგიები ეფექტიანი ასისტირება/დახმარების სტრატეგიების განსაზღვრა
ისგ-ის შედგენა	სასწავლო აქტივობების ცვლილება სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით ფიზიკური დარღვევები და სწავლების სტრატეგიები
დაკვირვების წარმოება და მონაცემების გამოყენება	მხედველობის დარღვევები და სწავლების სტრატეგიები სსსმ პირების პროფესიული ორიენტაცია
ისგ-ის ფორმირება და წარმოება	აქტივობის ანალიზი

➤ ინკლუზიური კულტურა

საქართველოში ინკლუზიური განათლება განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად 2006 წლიდან იქცა. დღეისთვის განათლების მოცემული მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოში 2006 წლიდან დაწყებული, ზოგადი განათლების საფეხურზე და 2013 წლის თებერვლიდან, პროფესიული განათლების საფეხურზეც ინკლუზიური განათლების მოდელით სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებად განიხილება.

კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიულ სასწავლებლებში გარემო ყველა სტუდენტის მიმართ კეთილგანწყობილი და მეგობრულია. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სასწავლებლის გარემოსთან პირველი კონტაქტი არის მეგობრული და თბილი. ასევე, უმრავლესობა სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ გარემო კეთილგანწყობილია ყველა სტუდენტის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მიმართ. ასევე, თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა ითხოვონ დახმარება, ან დაეხმარონ ერთმანეთს, ანუ, ამ თვალსაზრისით ისინი არ არიან შეზღუდულნი.

გამოკითხული რესპონდენტთა სრული უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს რომ ბოლო წლებში სსსმ პირების მიმართ თემის დამოკიდებულებამ დიდი პროგრესი განიცადა. თუმცა, აქვე ამატებენ, რომ ყოველი შემთხვევისთვის სწავლის დასაწყისში თუ მათ ეცნობებათ რომ სასწავლებელში სსსმ სტუდენტი ირიცხება, პირის საჭიროების გათვალისწინებით ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები ატარებენ შეხვედრებს როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ასევე სტუდენტებთან ინკლუზიის არსისა და სსსმ სტუდენტთან მოქცევის და დამოკიდებულების გაზიარების მიზნით. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების თქმით, სტუდენტებთან ეს პროცესი გაცილებით მარტივად ხორციელდება და მათი მიმღებლობის მაჩვენებელიც დიდია, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლები, განსაკუთრებით ასაკოვანი პირები დასაწყისში უფრო მეტად სინანულით და შეცოდებით გამოირჩევიან და მათთან კონსულტაციები შესაბამისად გაცილებით მეტი ხანგრძლივობით ტარდება.

„რათქმაუნდა ამ კუთხით ჩვენ ვატარებთ ღონისძიებებს და ვაწვდით ინფორმაციას სტუდენტებს ინკლუზიური განათლების კუთხით. მაგალითად ჟესტური ენაც კი ისწავლეს ბავშვებმა რომ მასთან კომუნიკაცია ქონოდათ.“ - *ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი*

„ჩვენ შეხვედრები გვაქვს ხოლმე პედაგოგებთან და ვაცნობთ სიახლეებს, ისედაც ხომ ვესწრებით სასწავლო პროცესს და ვაკვირდებით ხომ არ გამოვლენილა რაიმე სირთულე. დამატებითი ღონისძიებები, შეიძლება ისევ ჩვენი მხრიდან გაკეთდეს რაიმე შეხვედრები სხვა კოლეჯებთან და გამოცდილებების გაზიარება.“ - *ინკლუზიური განათლების სპეციალისტი*

თავი VI. რეკომენდაციები

უმადლესი და პროფესიული განათლების შესახებ კანონები არადისკრიმინაციულია უნარებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით, თუმცა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჩანაწერების არ არსებობის გამო, არასაკმარისად უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ კანონები არ კრძალავს და არ ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ჩართვას პროფესიული განათლების სისტემაში.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა პრიორიტეტია საქართველოს ყველა რეგიონისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება პროფესიული კოლეჯების და სტუდენტების რაოდენობა, ყველა რეგიონში მაინც არ არის ხელმისაწვდომი, არ არის მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს და პროფესიებს და ჯერ კიდევ დაბალი პოპულარობით და მოთხოვნით ხასიათდება მოსახლეობაში.

შესაბამისად საჭიროდ განისაზღვრა რეგიონების დონეზე შრომის ბაზრის კვლევების განხორციელება და საჭირო და მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების დანერგვა.

საკვლევი საკითხები წარმოდგენილია ხუთ მსხვილ საკითხად, რომლის გარშემოც მოხდა ანგარიშის შემუშავება. შესაბამისი რეკომენდაციებიც გამოვლინდა ამ საკითხებისა და მასთან დაკავშირებული ქვე-საკითხების ანალიზის შედეგად.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსსმ სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესი

- თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება დგას საჭირო კადრის ხელმისაწვდომობის გამოწვევის წინაშე;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ხდება პროფესიული ორიენტაციის სრული პროცესის გავლა, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას;
- **სწორად დაგეგმილი პროფესიული ტესტირება და აქტივობები**
- სსსმ პირის ჩართულობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა, რათა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს მისი ინტერესების შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას;
- სასწავლებლებში გამოვლენილი მხარდამჭერი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა და სწრაფი რეაგირება;
- სერვისის მიმწოდებელი კადრის კვალიფიკაციაზე ზრუნვა (მ.შ. კვალიფიკაციის ამაღლება) და მაღალი ხარისხის სერვისის უზრუნველყოფა;
- სტუდენტის საჭიროებებზე ამომწურავი ინფორმაციის სასწავლო პროცესის დაწყებამდე მიღება; სასწავლო პროცესში გადამოწმება და უწყვეტ რეჟიმში განახლება;
- პროფესიულ სასწავლებელში ჩართულ სპეციალისტთა პასუხისმგებლობების გამიჯვნა და განსაზღვრა / გადანაწილება ისგ-ს შედეგის პროცესში;

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ისგ-ს შედგენის პროცესში და მათთვის მეტი მხარდაჭერის მიწოდება ისგ-ს შედგენას;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა გაწაფვა პრაქტიკის პროცესის ადაპტაციის და დოკუმენტირების პროცესში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სავალდებულოდ დადგენა;
- ისგ-ს შედგენის და განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- საჭირო და სასარგებლოდ მიჩნეული მულტიდისციპლინური გუნდის მხარდაჭერის გაძლიერება;
- პრაქტიკის წილის გაზრდა, რადგან ეს საუკეთესო საშუალებაა პროფესიულ უნარებში გაწაფვისთვის; პრაქტიკული დავალებების და აქტივობების სწორად შერჩევა;
- სსსმ სტუდენტისთვის რელევანტური სტრატეგიების პრაქტიკის ადგილზე ტრანსფერი, სპეციალისტის ან მასწავლებლის მიერ მენტორისთვის მათი გაცნობა
- პრაქტიკის ადგილის საწყის ეტაპზე მოძიება; პრაქტიკის გარემოს ადაპტაცია; პრაქტიკის მასწავლებლის პროფესიული ტესტირების პროცესზე დასწრება

სსსმ პროფესიული სტუდენტის სასწავლო დოკუმენტაცია და სასწავლებლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები

რეკომენდაციები ინდივიდუალური გეგმის დანერგვის შესახებ:

- შეირჩეს / შეიქმნას სასწავლებლებისთვის ხელსაყრელი ისგ-ს ფორმა, იყოს ფორმის მოქნილად გამოყენების შესაძლებლობა;
- განისაზღვროს ისგ-ს შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, ისგ-ს შემუშავების ვადები;
- ისგ-ს შემუშავებას მოყვეს მისი სასწავლო პროცესში გამოყენება;
- განხორციელდეს მონიტორინგი იმისა, რამდენად მიყვება სასწავლო პროცესი ისგ-ს;
- მოხდეს შეფასება იმისა, ეხმარება თუ არა მასწავლებელს ისგ-ს შემუშავება სასწავლო პროცესში;

რეკომენდაციები სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა დამატებითი ინსტრუმენტების შესახებ:

- სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართულობის და თანამონაწილეობის გამოსავლენი ინსტრუმენტების (დაკვირვების ფორმების, კითხვებების და სხვ.) დანერგვა და რეგულარული გამოყენება;
- ინსტრუმენტების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის რეგულარული ანალიზი და სასწავლო პროცესში გათვალისწინება;
- ინსტრუმენტებით გამოვლენილი ინფორმაციის პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის გაზიარება; ინფორმაციის გაზიარების შედეგად საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და გავრცელება სასწავლო პროცესზე სრულად;
- საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ან სასწავლო პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე ინსტრუმენტების მოდიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციების პრაქტიკის დანერგვა მულტიდისციპლინურ გუნდის წევრებთან;

- მასწავლებლის მხრიდან სტუდენტის საწავლო პროცესზე უწყვეტი დაკვირვების, მიღწევების ან სირთულეების აღმოჩენის და ანალიზის რუტინის დამკვიდრება - რას მიაღწია სტუდენტმა, რა გაუჭირდა, რა შეიძლება იყოს წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი, როგორია სტუდენტის დამოკიდებულება თავისი შესრულების მიმართ;
- სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესზე უწყვეტი რეფლექსიის წახალისება - ანალიზი იმისა, რა შევქმელი, რა გამომივიდა, რა გამიჭირდა, რაში მჭირდება მეტი გაწაფვა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების გაწაფვა და კომპეტენციის ამაღლება მიმდინარე შეფასების და სასწავლო მიღწევების ანალიზის საკითხებში;
- საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ფორმების შემუშავება;
- სტუდენტისთვის უკუკავშირის მიცემის რუტინის დამკვიდრება;
- ყოველ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების / გაძლიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- მოხდეს ბიუჯეტის განსაზღვრა სტრატეგიული წლიური გეგმის და შესასრულებელი აქტივობების გათვალისწინებით; გეგმების გაცნობის მიზნით და უკუკავშირის მიღებისთვის წარდგენილ იქნას სამინისტროში;
- განხორციელდეს გეგმის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგი სამინისტროს მხრიდან;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში, სასწავლებელი შეფასდეს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ინდიკატორების გათვალისწინებით - ადაპტირებული გარემო, ისე ყველა სტუდენტისთვის იმ მოდულებისთვის, რომლებშიც სჭირდებათ; მასწავლებლების კვალიფიკაცია, და ა.შ..

სსსმ სტუდენტის სწავლის შედეგი და კვალიფიკაციის დადასტურება

- სსსმ სტუდენტთა მიღწევების აღიარების წესის შემუშავება და დამკვიდრება პროფესიული განათლების სისტემაში, მისი გაზიარება ყველა სასწავლებლის მიერ;
- სტუდენტებისთვის მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტის - ცნობის ან სერტიფიკატის ფორმატის დამტკიცება, მათი გაცემის პირობების შეთანხმება და მისი სავალდებლოდ გაცემა;
- სტუდენტის და მისი წარმომადგენლის ინფორმირება დიპლომის, სერტიფიკატის ან/და ცნობის გაცემის პირობებზე;
- ცნობასა და სერტიფიკატში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ზედმიწევნით ასახვა.

ინკლუზიური სასწავლო გარემო

- თითოეულ სსსმ სტუდენტთან მიმართებაში გარემოს ბარიერების შეფასება და არსებული ბარიერების გამოვლენა ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- გარემო ბარიერების შემცირებაზე ზრუნვა გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმებზე დაყრდნობით და დაუყოვნებლივ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;
- თითოეულ სსსმ სტუდენტთან დამატებითი და მხარდამჭერი მატერიალურ ტექნიკური რესურსების საჭიროებების შეფასება;

- საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფა საერთაშორის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- სასწავლებელში მატერიალურ-ტექნიკური მარაგის / ბაზის აკუმულირება და მზაობის უზრუნველყოფა სსსმ სტუდენტთა მრავალფეროვანი საჭიროებების მიმართ;
- მხარდამჭერი კადრის განვითარება საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების ლოკაციებზე, იმისათვის რომ სტუდენტები იღებდნენ დროულ და მაღალკვალიფიციურ სერვისს;
- მოხდეს მხარდამჭერი კადრის მიერ მიწოდებული სერვისის მონიტორინგი და შეფასება (შიდა მონიტორინგი სასწავლებლის მიერ და გარე მონიტორინგი - სამინისტროს მიერ (მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით);
- მოხდეს მხარდამჭერი სერვისის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა ტრენინგების გზით;
- მოხდეს მხარდამჭერი სერვისების ეფექტიანობის შეფასება და სერვისის განვითარება / გაუმჯობესებაზე ზრუნვა გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით: რამდენად კვალიფიციურია მიწოდებული სერვისი, რამდენად საკმარისია სერვისის მიწოდებულთა რაოდენობა, რამდენად დროულია მიწოდებული სერვისი და ა.შ.

ინკლუზიური პროფესიული განათლება

- მოხდეს კადრის მიერ მნიშვნელოვნად გამოვლენილ საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება, უზრუნველყოფა და განხილული საკითხების პრაქტიკაში ინტეგრირების მხარდაჭერა;
- მონიტორინგი იმისა, რამდენად მოხდა ტრენინგებში განხილული საკითხების პრაქტიკაში ასახვა.
- მშობლების ჩართულობა სსსმ პირის განვითარების და განათლების მიღების პროცესში, სადაც ხშირად საჭიროებენ სპეციალისტების დახმარებას და კონსულტაციებს;
- მშობლებსა და ინკლუზიის სპეციალისტებს შორის თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს პატივისცემას, ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და მოლოდინების თანხვედრას;
- სტუდენტთა მშობლებს სხვადასხვა სოციალური და კულტურული ფონი, განსხვავებული შესაძლებლობები და კომუნიკაციის უნარები აქვთ, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია მათთან სათანამშრომლოდ.

ჩამოთვლილი სარეკომენდაციო საკითხების გათვალისწინება და შესრულება ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების სისტემის ეფექტიან და თანმიმდევრულ დანერგვას, და იქნება რეფორმის შესრულების გაუმჯობესების ინსტრუმენტები.

დანართი

#1. კვლევის პროცესში გამოკითხულ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ (თბილისი)
2. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ (თბილისი)
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ (თბილისი)
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი)
5. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (თბილისი)
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)
7. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ (თბილისი)
8. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (თბილისი)
9. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ (ბათუმი)
10. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ (გორი)
11. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ (ქობულეთი)
12. სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ (რუსთავი)
13. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი (მცხეთა)
14. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი (თელავი)
15. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ (წალენჯიხა, ჯვარი)
16. ზუგდიდის შ. მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ზუგდიდი)
17. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ (ქუთაისი)
18. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ (კაჭრეთის ფილიალი)
19. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ (ალვანის ფილიალი)
20. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ (ახალციხე)
21. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ (ოზურგეთი)
22. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“ (თელავი)
23. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი)
24. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ (ამბროლაური)
25. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ (ფოთი)

#2. სტუდენტის დაკვირვების ანკეტა

- ✓ ანკეტის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება.
- ✓ გაეცანით ანკეტის შინაარსს ლექციების დაწყებამდე. გთხოვთ შეავსოთ ანკეტა 5 დღის განმავლობაში ყოველი ლექციის დასრულებისთანავე ყურადღებით და გულმოდგინედ.
- ✓ გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ყოველ გრაფაში და დაამატეთ კომენტარი.

წინასწარ გმადლობთ გაწეული თანამშრომლობისთვის!

სტუდენტის სახელი, გვარი -----

პროფესიული მოდული -----

თარიღი -----

მასწავლებლის ხელმოწერა -----

მასწავლებლის დასკვნა:

- გთხოვთ გააკეთოთ დასკვნა სტუდენტის სასწავლო მიზნებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებით
- საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ აღწერეთ სტუდენტის საჭიროებები და გამოწვევები, რომელიც გამოვლინდა თქვენს მიერ განხორციელებული დაკვირვების დროს
- გთხოვთ, მიუთითეთ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის გზები

დებულებების სვეტი	შემოხაზით შესაბამისი დებულება და დააზუსტეთ/დაწერეთ კომენტარი, მოკლე აღწერა			
იყო თქვენზე კონცენტრირებული, გიყურებთ, როდესაც ხსნიდით მასალას, გქონდათ გამოკითხვა	დიახ		არა	
თქვენ დაუსვით სტუდენტს შეკითხვა	დიახ		არა	
სტუდენტმა დასვა შეკითხვა	თემატური		არა თემატური	
სტუდენტმა უპასუხა შეკითხვას	დიახ		არა	
პასუხი შეესაბამებოდა შეკითხვას	სრულად	ნაწილობრივ	არ შეესაბამებოდა საერთოდ	
მიმართეთ სტუდენტს არაფორმალური კითხვით ან კომენტარით	დიახ		არა	
კონტაქტს ამყარებს თქვენთან	ვერბალურად	წერილობით	ესტურ ენაზე	მიმიკით
დაამყარა კონტაქტი ჯგუფელთან/ებთან (გადაულაპარაკა, ჰკითხა, უპასუხა)	კი		არა	
დაიცვა ჯგუფში დადგენილი წესები/რუტინა	სრულად		ნაწილობრივ	
შეასრულა თქვენი ინსტრუქცია/დავალება დააზუსტეთ ინსტრუქცია/დავალება ----- ----- ----- ----- -----	სრულად და დამოუკიდებლად	დასჭირდა დახმარება: · ფიზიკური · სიტყვიერი მინიშნება · ნიმუშის ჩვენება · ინსტრუქციის გამარტივება · ინსტრუქციის განსხვავებული ფორმით მიწოდება · ინსტრუქციის დანაწევრება	არა	
იმუშავა წყვილში	კი	არა	არ შემითავაზებია	
იმუშავა ჯგუფურად	კი	არა	არ შემითავაზებია	
ითხოვა დახმარება	კი		არა	

შეასრულა საშინაო დავალება	კი · კარგად · დამაკმაყოფილებელად · არადამაკმაყოფილებელად	არა	ნაწილობრივ რა ტიპის შეცდომები დაუშვა?
გამოხატა ემოციები	სოციალურად მისაღები ფორმით (აღწერეთ)	სოცალურად მიუღებელი ფორმით (აღწერეთ)	
დებულებების სვეტი	შემოხაზეთ შესაბამისი დებულება და დააზუსტეთ/დაწერეთ კომენტარი, მოკლე აღწერა		
იყო თქვენზე კონცენტრირებული, გიყურებთ, როდესაც ხსნიდით მასალას, გეონდათ გამოკითხვა	დიახ	არა	
თქვენ დაუსვით სტუდენტს შეკითხვა	დიახ	არა	
სტუდენტმა დასვა შეკითხვა	თემატური	არა თემატური	
სტუდენტმა უპასუხა შეკითხვას	დიახ	არა	
პასუხი შეესაბამებოდა შეკითხვას	სრულად	ნაწილობრივ	არ შეესაბამებოდა საერთოდ
მიმართეთ სტუდენტს არაფორმალური კითხვით ან კომენტარით	დიახ	არა	
კონტაქტს ამყარებს თქვენთან	ვერბალურად	წერილობით	ვესტურ ენაზე მიმიკით
დაამყარა კონტაქტი ჯგუფელთან/ებთან (გადაულაპარაკა, ჰკითხა, უპასუხა)	კი	არა	
დაიცვა ჯგუფში დადგენილი წესები/რუტინა	სრულად	ნაწილობრივ	

შეასრულა თქვენი ინსტრუქცია/დავალება დააზუსტეთ ინსტრუქცია/დავალება	სრულად და დამოუკიდებლად	დასჭირდა დახმარება: · ფიზიკური · სიტყვიერი მინიშნება · ნიმუშის ჩვენება · ინსტრუქციის გამარტივება · ინსტრუქციის განსხვავებული ფორმით მიწოდება · ინსტრუქციის დანაწევრება	არა
იმუშავა წყვილში	კი	არა	არ შემითავაზებია
იმუშავა ჯგუფურად	კი	არა	არ შემითავაზებია
ითხოვა დახმარება	კი	არა	არა
შეასრულა საშინაო დავალება	კი · კარგად · დამაკმაყოფილებლად · არადამაკმაყოფილებლად	არა	ნაწილობრივ რა ტიპის შეცდომები დაუშვა?
გამოხატა ემოციები	სოციალურად მისაღები ფორმით (აღწერეთ)	სოცალურად მიუღებელი ფორმით (აღწერეთ)	

სტუდენტის დაკვირვების შეჯამება

- ხუთდღიანი ინტენსიური დაკვირვების შემდეგ თქვენ უკეთ დაინახავდით სტუდენტის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს
- გთხოვთ შეაჯამოთ დაკვირვების შედეგები
- გაეცანით დებულებებს და შემოხაზეთ ერთი ან რამდენიმე მათგანი თქვენი შეხედულებსამებრ
- სურვილის შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით

თქვენი აზრით, სტუდენტი უკეთ ითვისებს მასალას, როდესაც:

- ისმენს თემას
- კითხულობს ტექსტს
- უყურებს როგორ კეთდება ფიზიკურად
- ხედავს როგორ გამოიყურება სურათზე (მოცემულია ვიზუალურად)
- საკითხავ მასალა მოცემულია ცხრილების ან დიაგრამების სახით

გჭირდებათ თუ არა ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სასწავლო პროგრამის დაგეგმვა/განხორციელების პროცესში ჩართვა?

კი არა არ ვიცი

გჭირდებათ თუ არა ასისტენტის ინტერვენცია სტუდენტის ადაპტურ/ფუნქციურ უნარებში გამოვლენილ საჭიროებებთან დაკავშირებით?

(გადაადგილება, კომუნიკაცია, თვითმოვლა, სოც. უნარები, კოგნიტური უნარები)

კი არა არ ვიცი

საჭიროებთ თუ არა დამატებით რესურსს (ადამიანურ, მატერიალურ, მეთოდოლოგიურ) სასწავლო პროცესის უკეთ განსახორციელებლად?

კი არა არ ვიცი

გთხოვთ ჩამოთვალოთ ან აღწეროთ:

გთხოვთ დაუბუნდეთ პირველ გვერდს და გააკეთოთ დასკვნა სსსმ სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ.

გთხოვთ, დაუბუნდეთ პირველ გვერდს და გააკეთოთ დასკვნა/შეჯამება სსსმ სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შემთხვევაში

სამართლებრივი ასპექტი ინკლუზიურ განათლებაში

საქართველოში ინკლუზიური განათლება რეგულირდება განათლების კანონებითა (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების შესახებ კანონები) და ნორმატიული დოკუმენტებით (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2013). აღნიშნული დოკუმენტებიდან შესაბამისი ცვლილებები მხოლოდ ზოგადი განათლების შესახებ კანონსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის შესული. შეიძლება ითქვას, რომ არსებული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების უფლებას განათლების სხვადასხვა საფეხურზე.

1. კანონი #3442-ლს - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ

ამ კანონის მიზანია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარება, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელების ხელშეწყობა. ეს კანონი განსაზღვრავს პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივ ჩარჩოს, ადგენს პროფესიული განათლების სისტემის მართვის პრინციპებს და პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა ძირითად საკითხებს.

2. ბრძანება #16/ნ - ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე

ეს წესი განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (სკოლაში) ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესსა და პირობებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმს, რომელიც მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის წესს, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და სკოლის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს ინკლუზიური განათლების სფეროში.

3. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ – 28.03.2007

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N244 – 19.09.2013 – პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N152/ნ – 27.09.2013 – პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N935 – 21.08.2014 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანთა მიღების გამოცხადების მიზნით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სპეციალურ პროგრამაში ელექტრონული ფორმის შევსების ვადის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 939 – 21.08.2014 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე აპლიკანთა მიღების გამოცხადების მიზნით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სპეციალურ პროგრამაში ელექტრონული ფორმის შევსების ვადის განსაზღვრის თაობაზე